ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 27 ივნისი, 2023 №124 (9160) ფასი: 80 თეთრი

გვ.5

პროკურორი: ბაჩალიაშვილის საქმეზე ყოფილმა გამომძიებელმა, სერგო შუბითიძემ დაადასტურა, რომ გამოძიებას და სასამართლოს ცრუ ჩვენება მიაწოდა

როგორ დაიგვგმა ორი შვილის დედის მკვლელობა

გვ.5

„თბილისსა და მოსკოვს შორის გარიგებაა! პუტინი რომც წავიდეს, „ოცნება“ არ შეცვლის პოლიტიკას!“

გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „მე აღარ ვენდობი ოპოზიციას. ერთადერთი გამოსავალია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მომავალში შეცდომები დაუშვას“

გვ.3

გედევან ფოფხაძე: „ქართული ოცნება“ პუტინს გულშემატკივრობდა და ამის არ რცხვენიათ?!

„სალომე ზურაბიშვილმა ევროპული არჩევანი ღიად დააფიქსირა“

„ნიკა გვარამია იმდენად ჭკვიანია, რომ ნაცმოძრაობაში არ მივა“

გვ.4

გიგა ბუკია: „უსტატუსოდ თუ დაგვტოვეს, „ქართული ოცნება“ უარესს იზამს, შეიძლება ავტორიტარიზმი დაამყაროს“

მამუკა მდინარაძე: „ოპოზიციას მოვუწოდებ, ნუ შეუშინდებიან კანდიდატის სტატუსის მიღებას“

გვ.3

გვ.3

იაგო ხვიჩია: „ნაცმოძრაობას უნდა მოეხერხებინა ის, რომ გრიგოლ ვაშაძე ვერ ბედავდეს პარლამენტში ჯდომას, არათუ ტლიკინს“

გვ.5

ზაზა შენგელია ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსებს: „აერიდეთ რუსეთს!“

გვ.8

3 რადიო ნუცა ბუზალაძის სიმღერებს ეთერში არ გაუშვებს

გვ.7

სალუქვაძე მეათე ოლიმპიადაზე, ოქროები ევროპული თამაშებიდან

4 რა ახალ დეტალებზე საუბრობს დიდ დილობში გარდაცვლილი 12 წლის ანას დედა

3 ირაკლი კობახიძე: დეტალურ ანგარიშს წარვადგენთ, თუ როგორ შესრულდა 12-ვე რეკომენდაცია

5 რამდენად უსაფრთხოა შავი ზღვა საქართველოში — სპეციალისტების შეფასებები და პროგნოზები

6 რას ნიშნავდა პრიგოჟინის პუტჩი?!

1993230720223

„თბილისსა და მოსკოვს შორის გარიგებაა! პუტინი, რომც წავიდეს, „ოცნება“ არ შეცვლის პოლიტიკას!“

პაატა ზაქარეიშვილი: „მე აღარ ვენდობი ოპოზიციას. ერთადერთი გამოსავალია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მომავალში შეცდომები დაუშვას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, საკმაოდ მღელვარე იყო გასული კვირა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. როგორც ექსპერტი კონფლიქტოლოგი, როგორ შეაფასებდით ბოლო პერიოდის პროცესებს? რამდენად აქვს დღეს ჩვენს ქვეყანას დასანქცირების საფრთხე? თქვენთვისაც ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანას, სანქციების საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სტუმრობს. რა მოლოდინი გაქვთ, დაგვეკისრება სანქციები?

– ამის შანსები კი არ მცირდება, პირიქით იზრდება. ის, რომ საქართველო შეიძლება დასანქცირდეს, ამის საკმაოდ მაღალი ალბათობაა. მე-11 პაკეტი, რომელიც ევროკავშირმა მიიღო რამდენიმე დღის წინ, უკვე გადავიდა სხვა ქვეყნებზე. ახლა სხვა ქვეყნებია მოაზრებული, განსაკუთრებით ირანი და თურქეთი. თურქეთიდან პროდუქტები გადის საქართველოს საშუალებით. ასე რომ, მე არ გამოვრიცხავ, შემდეგ მე-12 პაკეტში, ან თუნდაც ცალკე, საქართველოს წინააღმდეგ იქნას მიღებული გადაწყვეტილება. საქართველოს მთავრობა მკაფიოდ და ცალსახად აცხადებს, რომ ჩვენ არ მივუერთდებით სანქციებსო.

– არც ვარღვევთო, აცხადებენ ხელისუფლებაში.

– ვარღვევთ თუ არ ვარღვევთ, ამას ადგენს ის, ვინც სანქციებს აწესებს. გადაწყვეტილებას მიმღები მხარე იღებს და პირობებსაც ის გვიყენებს. ევროკავშირი კი გვეუბნება, რომ თქვენ არ ასრულებთ გარკვეულ პირობებსო. ასევეა სანქციებზეც, ერთია, რას ლაპარაკობს საქართველოს ხელისუფლება და მეორეა, ვისაც შეუძლია სანქციების დაწესება. გამოვიდნენ ამ ინფანტილური დამოკიდებულებიდან, რომ თითქოს სამყაროს ჭიპები არიან. არ არიან! თურქეთი, ჩინეთი, ირანი თუ არ დააზარალა ამ სანქციებმა და მათ ყურადღებაც არ მიაქციეს ამ ყველაფერს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო გაუძლებს ამ სანქციებს.

კარგად გაზომონ და აწონონ თავიანთი შესაძლებლობა. თავი დაანებონ ცეცხლთან თამაშს, მარტო რჩება საქართველო რუსეთის წინაშე. ეს მხოლოდ და მხოლოდ „ქართული ოცნების“ სინდისზე არის. თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა, ახლახან თურქეთმა და აზერბაიჯანმა ხელი მოაწერეს საჰაერო თავდაცვას. რატომ არ უნდა იყოს საქართველო ამ ხელშეკრულებაში?! გვეშინია ყველაფერში და პირი დაგვიფჩენია. გავიძახით მარტო ვართო, არ ვართ მარტო! ჩვენ გვერდშია ნატო და ჩვენს მხარესაა გეოსტრატეგიული უპირატესობა.



– როგორც ჩანს, არ უნდა ჩვენს ხელისუფლებას არც ნატო და არც ევროკავშირი.

– არ უნდა იმიტომ, რომ ეს არის რუსული პოლიტიკა. პრორუსულიც კი აღარ არის, ეს არის რუსული! დღეს საქართველო არის ბელორუსია. შესაბამისად, ის რუსულ პოლიტიკას ატარებს. ის არ ატარებს ნატოსა და ევროკავშირის პოლიტიკას, რომელიც კონსტიტუციაში უწერია, არამედ რუსეთის პოლიტიკას, რომელიც არის საქართველოს მტერი! ამიტომ სანქციები სულ უფრო მოსალოდნელია, რაც დრო გავა.

დღეს რუსეთი აგრესიული სახელმწიფო კი არ არის, ის სახელმწიფო აღარაა. პრიგოჟინის ამ გადაადგილებამ აჩვენა რამდენად დასუსტებულია რუსეთი. საქართველოში ჯერ კიდევ ჰგონიათ, რომ პუტინია იქ მთავარი. პუტინი არაფერ შუაშია. ეს არის პუტინის იმპერიალიზმი.

– რადგან რუსეთში განვითარებულ ამბებს შევეხეთ, როგორც კონფლიქტოლოგი როგორ აფასებთ, რა იყო ეს ყველაფერი?

– თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო სპექტაკლი. ეს, რა თქმა უნდა, ჩემი აზრია. ეს იყო აშკარად იმ კრიზის გამოვლენა, რომელიც ნებისმიერ სახელმწიფოში ხდება, რომელიც არის ომში და ამ ომს აგებს. როცა სახელმწიფო შედის ომში და ამ ომს აგებს, იქ იწყება შიდა ისტერიკა. მიდის გადაბრალება. ყველა ერთმანეთს რაღაცას აბრალებს. ეს არის, ტიპური წაგებულ ომში მონაწილე სახელმწიფოს ქცევა. როცა პრიგოჟინი მიხვდა, რომ მას შეიძლება ხელი შეახოცონ ყველაფერზე, ამიტომ დაიწყო წინააღმდეგობა. ეს გუშინ და გუშინწინ არ დაწყებულა. ეს პროცესი უკვე რამდენიმე თვეა მიდის. მანამდე იყო ფარული დაპირისპირება, ხოლო ეს ყველაფერი ხილული გახდა მას შემდეგ, რაც პუტინმა განაცხადა, რომ ყველა დანაყოფი უნდა დაემორჩილოს თავდაცვის სამინისტროს. მაშინ თქვა პრიგოჟინმა, რომ არ დავემორჩილები თავდაცვის სამინისტროსო.

პრიგოჟინი წავიდა წინმსწრებ ნაბიჯებზე და ფაქტის წინაშე დააყენა თავდაცვის სამინისტრო, პუტინი და მთელი მთავრობა, როცა გადაადგილება მოახდინა. სწორედ მან შექმნა იმიტაცია სამოქალაქო ომისა.



– მისი უკან დახევა რამ განაპირობა და რა იქნება ამის შემდეგ?

– როგორც ჩანს, პრიგოჟინმა რაღაცას მიაღწია თავის ფორმით. სანამ პრიგოჟინი ცოცხალია და ვაგნერი არსებობს რაღაც ფორმით, იმის თქმა, რომ პრიგოჟინი დამარცხდა, არასწორია. პრიგოჟინმა დააფიქსირა სახელმწიფოებრივი კრიზისი. მან დაგვანახა, რომ სახელმწიფო არ არსებობს! პუტინი მიხვდა, რომ სიტუაცია მის სასარგებლოდ არ იყო და მოახერხა რაღაც ფორმით შეთანხმებულიყო პრიგოჟინთან. თუ ვინმეს არ აწყობს დღეს პრიგოჟინის სიკვდილი, ეს თავად პუტინია. თუნდაც შემთხვევით რომ მოკვდეს, ეს პუტინს დაბრალდება. დღეს ყველამ კარგად დაინახა, თუ რა მთხლეა ის, რასაც ჰქვია რუსეთი. ამ ფონზე კიდევ უფრო გაძლიერდება თურქეთი და ჩინეთი. ეს პროცესები მის გარშემო სახელმწიფოებს კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს.

– ჩვენ რა ბედი გვწევა? ჩვენს ხელისუფლებას რუსეთის შიში ოდნავ მაინც თუ შეუმცირდება?

– „ქართული ოცნების“ საშუალებით საქართველო რუსეთის გუბერნიაა. სომხეთშიც კი ავლენენ ხელისუფლების დონეზე ანტირუსულ განწყობებს და ღიად ამბობენ, რომ კუხოდან უნდა გავიდეს სომხეთი. მარტო საქართველო და ბელორუსიაა ჩაბღაუჭებული რუსეთზე. ორივეს ძალაუფლების პრობლემა აქვს. თბილისის გუბერნიად რომ აქციოს რუსეთმა საქართველო, „ოცნებიდან“ დიდი სიამოვნებით გახდებიან გუბერნატორები. ოღონდ თვითონ იყვნენ ხელისუფლებაში. როგორც ჩანს, არსებობს გარიგება თბილისსა და მოსკოვს შორის. სამწუხარო ის არის, რომ პუტინი რომც წავიდეს, საქართველოს ხელისულება არ შეცვლის თავის რუსულ პოლიტიკას. „პროს“ შეგნებულად აღარ ვახსენებ, რუსული პოლიტიკა აქვს. მათთვის მთავარია ძალაუფლებაში ყოფნა ნებისმიერი გზით. დღეს „ქართული ოცნების“ ერთადერთი უპირატესობა და ბედნიერების გრძნობა არის ის, რომ ოპოზიცია არა ჰყავთ.

– სულ ამაზე გვიწევს საუბარი, რომ სად არის ოპოზიცია?

– ოპოზიცია არ არის. ოპოზიციამ 100 ათასი კაცი რომ გამოიყვანოს ქუჩაში, ერთი კვირით დღე და ღამე, მეტი არ იქნება საჭირო. დღეს ქუჩაში ხალხი გამოყავს „ქართულ ოცნებას“ თავისი იდიოტური პოლიტიკით. ოპოზიციას კი ვერ გამოყავს. ხალხის ქუჩაში გამოსვლა, ყოველ ჯერზე „ოცნების“ დამსახურებაა. გავრილოვის ღამე, პოზნერის ღამე და რუსული კანონის ღამე. ყველა არის „ქართული ოცნების“ დამსახურება. თუ „ქართული ოცნება“ ცუდად არ იქცევა, ქუჩაში ხალხი არ გამოდის. ოპოზიციას თავისი დღის წესრიგი არ აქვს, რომ ხალხი ქუჩაში გამოიყვანოს. ოპოზიციის დღის წესრიგი არის მხოლოდ „ქართული ოცნების“ სისულელეები.

– ოპოზიცია პოლარიზაციას უწყობს ხელსო, აცხადებს ხელისუფლება.

– პოლარიზაციას სწორედ „ოცნება“ უწყობს ხელს, იმის მაგივრად, რომ მისალმებოდა ნიკა გვარამიას შეწყალებას, რომელიც იყო მკაფიოდ გადადგმული ნაბიჯი დეპოლარიზაციისაკენ. იმის მაგივრად, რომ გაჩუმებულიყვნენ და ეთქვათ, რომ დიახ, ეს სწორი ნაბიჯია და იმედი გვაქვს, ეს შეწყალება ხელს შეუწყობს დეპოლარიზაციას, საპირისპიროს აკეთებენ. უნდათ, რომ პოლარიზაცია გააღრმაონ.

დღეს პოლარიზაციის ავტორი არის მხოლოდ და მხოლოდ „ქართული ოცნება“. დღეს „ქართული ოცნების“ გაშვებაზე იოლი არაფერია, ოპოზიციამ ერთი კვირის განმავლობაში დღე და ღამე ჩაუგდებლად უნდა გამოიყვანოს 100 ათასი ადამიანი ქუჩაში. ეს არ არის რთული საქმე, ქართველები გამოსულან ქუჩაში, მაგრამ გამოსულან რაღაცისთვის. ოპოზიციას კი ეს რაღაცა არა აქვს!

– გამოდის, რომ ისევ „ქართული ოცნების“ მორიგი შეცდომის იმედად უნდა ვიყოთ?

– მშვენიერი დასკვნაა და დიდი მადლობა ამისთვის. მე აღარ ვენდობი ოპოზიციას. ერთადერთი გამოსავალია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მომავალში შეცდომები დაუშვას.

„მოვუწოდებ უმრავლესობას, შეწყვიტოს პრეზიდენტის დისკრედიტაცია!“

– მოვუწოდებ უმრავლესობას, შეცვალოს დამოკიდებულება პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი, შეწყვიტოს მისი დისკრედიტაცია, შეურაცხყოფა, გადავიდეთ დიალოგზე – პოლარიზაციას აღვივებს ზუსტად უმრავლესობის ლიდერის განცხადებები, – ამის შესახებ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა, გიორგი მსხილაძემ კომიტეტის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, სადაც პრეზიდენტის მიერ წარდგენილი, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატები ჩააგდეს.

მსხილაძის განცხადებით, პოლარიზაციის გაღრმავებაა მათი დამოკიდებულება, როცა კანდიდატების მიმართ პროფესიონალიზმისა და ობიექტურობის ნიშნით კითხვები არ აქვთ და პირდაპირ ამბობენ, რომ კანდიდატების ჩაგდება პოლიტიკური განაცხადია.

ამასთან, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი გიორგი მსხილაძე ხაზგასმით აცხადებს, რომ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატების პარლამენტისთვის წარდგენის პროცესში პრეზიდენტს წინასწარი კონსულტაციების გამართვის ვალდებულება არ გააჩნია.

– ყველა აკვირდებოდით კომიტეტის სხდომას, სადაც კანდიდატებთან და მათ პროფესიონალიზმთან დაკავშირებით კითხვები არ იყო. პირდაპირ განაცხადეს, რომ ეს არის პოლიტიკური აქტი, რომ ჩააგდონ კანდიდატები. მე არ ვიცი, ასეთი მიდგომა სადამდე მიგვიყვანს, სიმართლე გითხრათ, პოლარიზაციის გაღრმავებას ზუსტად ასეთი დამოკიდებულება უწყობს ხელს. ამიტომ მოვუწოდებ მმართველ გუნდს, შეარბილოს, შეცვალოს დამოკიდებულება პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი, შეწყვიტოს მისი დისკრედიტაცია, შეურაცხყოფა, გადავიდეთ დიალოგზე. ეს დაპირისპირება ავნებს არამარტო პრეზიდენტის ინსტიტუტს, შეიძლება ქვეყნისთვის იყოს სავალალო. პოლარიზაციას აღვივებს ზუსტად უმრავლესობის ლიდერის განცხადებები და მოვუწოდებ, თავი შეიკავოს ასეთი განცხადებებისგან.

ჩვენ ვცხოვრობთ საპარლამენტო რესპუბლიკაში, რომლის უმაღლესი კანონი არის კონსტიტუცია. კონსტიტუცია არ აწესებს წინასწარი კონსულტაციების რეჟიმს. პრეზიდენტი შეარჩევს კანდიდატებს და წარუდგენს თავად. პარლამენტს თუ რაიმე შეკითხვა აქვს პროფესიული კუთხით, უნდა შეაფასონ, მხარი დაუჭირონ ან არ დაუჭირონ.

განცხადება, რომ პროფესიონალიზმთან და მათი დამოუკიდებლობის ხარისხთან არანაირი კითხვები არ აქვთ და უბრალოდ, ეს პოლიტიკური განაცხადია, რომ არ დაუჭირონ მხარი პრეზიდენტის კანდიდატურებს, პოლარიზაციის გაღრმავებაა, რაც ხელს უშლის ქვეყნის ევროინტეგრაციას. ამის შემდეგ პრეზიდენტი მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ როდის წარუდგენს პარლამენტს ახალ კანდიდატებს.

რაც შეეხება კონსულტაციებს, ზოგადად უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება უმრავლესობის პრეზიდენტისადმი, პოლარიზაცია უნდა შემცირდეს, რადგან ქვეყანა დგას გზაგასაყარზე, მნიშვნელოვანი მომენტია ჩვენთვის. შუალედურ ანგარიშში გვითხრეს, რომ ფანჯარა ღიაა, რამდენიმე თვეა დარჩენილი, მოგვიწოდეს ყველა საკითხზე იყოს ფართო ჩართულობა, კონსულტაციები, ინკლუზიური პროცესი – ეს შეეხება ცესკოს, ეროვნულ ბანკს და ა.შ. რამდენიმე თვეა დარჩენილი, მოვუწოდებ უმრავლესობას, შეწყვიტოს ასეთი დამოკიდებულება პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ, ეს არამარტო პრეზიდენტის ინსტიტუტს ავნებს, ამან შეიძლება ქვეყანას მოუტანოს დიდი საფრთხე, – განაცხადა მსხილაძემ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სალომე ზურაბიშვილმა ევროპული არჩევანი ღიად დააფიქსირა“

გედევან ფოფხაძე: „ქართული ოცნება“ პუტინს გულშემატკივრობდა და ამის არ რცხვენიათ?!

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, არჩილ თალაკვაძემ განაცხდა, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ პრიგოჟინის იმედად მყოფი რადიკალური ოპოზიცია გვყავს. რას უპასუხებდით?

– პრიგოჟინის წარმატება არავის გახარებია. საუბარია, რუსეთის იმპერიის ჩამოშლაზე, ოკუპანტი სახელმწიფოს ჩამოშლაზე. საუბარია, ახალ შანსზე, რომელიც შეიძლება გაჩნდეს მას შემდეგ, რაც რუსეთი აღარ იქნება ისეთი, როგორიც დღეს არის. რუსეთის დომინირების მოშლაზეა საუბარი და არა პრიგოჟინის წარმატებაზე. ეს სხვადასხვა რამ არის. ეს უნდა ესმოდეს „ქართულ ოცნებას“, მაგრამ ამდენი აღარ ესმით.

საუბარია, უკრაინაში პუტინის კრახზე, ბავშვების მკვლელობის შეჩერებაზე. რუსეთის შიდა არეულობა საუკუნეების მანძილზე ყოველთვის იწვევდა მის დასუსტებასა და დომინანტობისთვის ძალის გამოცლას. ეს უხაროდა ქართველ საზოგადოებას და ეს უნდა ესმოდეს ხელისუფლებას. თუ უნდათ, გაიგებენ, მაგრამ ვაი, რომ არ უნდათ.

ახლა, საინტერესოა, ხელისუფლება რატომ გულშემატკივრობდა ოკუპანტი სახელმწიფოს ხელისუფლებას?! პუტინს რატომ გულშემატკივრობდნენ?! რატომ არ რცხვენოდათ ამ გულშემატკივრობის?! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პუტინი ხომ არის საქართველოს ოკუპანტი. რუსეთს ხომ აქვს ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებული. რატომ იდგნენ პუტინის მხარეს, რატომ იცავდნენ პუტინის სკამს.

პრიგოჟინზე არ ყოფილა საზოგადოება ორიენტირებული, მაგრამ თვითონ კი იყვნენ პუტინზე ორიენტირებულები. ხომ უნდა ესმოდეს ხელისუფლებას, რომ ახალი, ისტორიული განვითარების შანსი ჩნდება, ტერიტორიების დაბრუნების შანსი ჩნდება თუ რუსეთი სხვანაირი სახელმწიფო გახდება. ამ იდეას ხომ უნდა გულშემატკივრობდნენ.

ეს ადამიანები პოლიტიკურად ნულები არიან. ისინი არანაირ გადაწყვეტილებას არ იღებენ, მხოლოდ გამხმოვანებლები არიან. როგორც ცოფიანი ძაღლები, ისე არიან, რომლებიც მხოლოდ ყეფენ. ეს ადამიანები მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის აზრებს ახმოვანებენ.

ივანიშვილს სხვისი აზრები არ აინტერესებს. თუ შენი აზრი, შენი იდეა გექნება და ხმამღლა იტყვი, შენს პოზიციას ღიად დააფიქსირებ და დაიცავ, მაშინ უნდა წამოხვიდე, იქაურობა უნდა დატოვო. არჩევანი ასეთია. ეს არჩევანი ჩვენ გავაკეთეთ. იქ განსხვავებული აზრი არავის აინტერესებს. ირაკლი კობახიძე, არჩილ თალაკვაძე იქ დარჩნენ, მათ ეს არჩევანი გააკეთეს. ძალიან მარტივია.

– ამერიკაში ევროატლანტიკური საბჭოს სხდომაზე კონგრესმენებმა, სენატორებმა ღიად გამოხატეს შეშფოთება რეგიონზე, საქართველოზე. ისინი აცხადებენ, რომ საქართველოს ვკარგავთ. როგორ ფიქრობთ, შეიძლება დასავლეთი უფრო გააქტიურდეს? ყურადღება უფრო გაიზარდოს?

– უდავოა, რომ მათი ყურადღება გაიზრდება.

– რაში შეიძლება ეს გამოიხატოს? მაგალითად, სტატუსის მოცემაში, არჩევნებს უფრო მძაფრად დააკვირდებიან, თუ რაში?

– ვერ გეტყვით რაში გამოიხატება – სტატუსის მოცემასა თუ დემოკარტიული ცვლილებების მხარდაჭერაში, მაგრამ ფაქტი ერთია, საქართველო „ქართული ოცნების“ პირობებში ვერ გახდება ევროპის ნაწილი. ეს სრულიად გამორიცხულია, რაც უნდა მოხდეს. შეიძლება ახლა ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსიც მოგვცენ, მაგრამ ეს ვერ იქნება ის, რაც არის ქართველი ხალხის მიზანი. ამ ხელისუფლების პირობებში საქართველო ცივილიზებული დასავლეთის ნაწილი ვერ გახდება.

ერთადერთი ინსტიტუცია, რომელმაც იზრუნა ქვეყნის ევროპული არჩევანის დასაცავად, პრეზიდენტის ინსტიტუტი იყო. ნიკა გვარამიას განთავისუფლებით სალომე ზურაბიშვილმა ღიად გააკეთა ევროპული არჩევანი და ასევე ღიად განაცხადა, რომ ის ამ არჩევანს დაიცავს.

– რაზეც კობახიძემ თქვა, ერთმა აგენტმა მეორე აგენტი გაანთავისუფლა.

– ირაკლი კობახიძეზე პოლიტიკური შეფასება, უბრალოდ, შეუძლებელია. ის სხვა სფეროს მუშტარია.

– ბერკეტი აქვს.

– დიახ, აქვს, მაგრამ ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც ძალუფლება უვარდება მას, ვისაც არ უნდა ჩაუვარდეს.

სალომე ზურაბიშვილმა ნიკა გვარამიას გათავისუფლებით ინსტიტუციური კუნძული შექმნა. იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლების წარმომდგენელები ღიად იცავენ პუტინს, როდესაც პარლამენტი მზად არის რუსული კანონი მიიღოს, როდესაც ქვეყნის პრემიერი პრორუსული ორიენტაციის მქონე ორბანთან დადის, როდესაც ამერიკა მოსამართლეებს ასანქცირებს, პრეზიდენტ ზურაბიშვილის გადაწყვეტილება იყო პროდასავლურობის დაცვა და ჩვენება იმისა, რომ ქვეყანაში არსებობს ინსტიტუტი, რომელიც მზად არის, დაიცვას დასავლური კურსი და ორიენტაცია. მე დარწმუნებული ვარ, დასავლეთის მხრიდან იქნება ყველანაირი მხარდაჭერა, რათა დავიცვათ ჩვენი ევროპული არჩევანი.

მამუკა მდინარაძე: „ოპოზიციას მოვუწოდებ, ნუ შეუშინდებიან კანდიდატის სტატუსის მიღებას“

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე ოპოზიციას მოუწოდებს, ნუ შეუშინდებიან კანდიდატის სტატუსის მიღებას.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, რადიკალური ოპოზიციის დღის წესრიგია კანდიდატის სტატუსის არმიღება.

– არაერთხელ მისაუბრია იმ გეგმასთან დაკავშირებით, რომელიც რადიკალური ოპოზიციის დღის წესრიგსა და მის მთავარ შემადგენელს წარმოადგენს – ეს არის კანდიდატის სტატუსის არმიღება. პრინციპში, ერთ რამეში უნდა დავეთანხმოთ – იმ სიტყვებში არა, როგორც ამ თემასთან დაკავშირებით საუბრობენ, მაგრამ უნდა დავეთანხმოთ იმაში, რომ თუ ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი მიიღო, მათ ისეთი აზრები აქვთ, რომ ეს არის ოპოზიციისთვის დამანგრეველი. გარკვეული სერიოზული პლუსი იქნება ეს მმართველი გუნდისთვის, ჩვენ სუბიექტურადაც გვაწყობს, გარდა იმისა, რომ სამშობლო უყვარს ადამიანს, მმართველ გუნდს, როდესაც ხელისუფლების და მისი მმართველობის პირობებში იღებს ქვეყანა კანდიდატის სტატუსს, სუბიექტურადაც აწყობს ეს ამბავი. ასევე სუბიექტურად არ დავაბრალოთ ქვეყნის არსიყვარული არავის, ოპოზიციას შეიძლება არ აწყობდეს კანდიდატის სტატუსის მიღება, იქიდან გამომდინარე, რომ მმართველი გუნდის დაზიანების და ოპონირების ნაკლები საშუალება ექნება. რა სიტყვებიც არ უნდა თქვან, მოგვეწონება ჩვენ ეს, თუ არ მოგვეწონება, გვინდა მათ მოვუწოდოთ, რომ ეს არ არის მარტო მმართველი გუნდის მიერ მიღებული სერიოზული სარგებელი. იმ გზაზე, რომელიც ჩვენ გაცხადებული გვაქვს და კონსტიტუციაში გვაქვს ჩაწერილი, ეს არ არის მხოლოდ მმართველი გუნდის მონაპოვარი. ქართველი ხალხის მონაპოვარია, თუკი ამ ქვეყანაში რაიმე პროგრესული ცვლილება არსებობს. აქედან გამომდინარე, მოვუწოდებ, ნუ შეუშინდებიან კანდიდატის სტატუსის მიღებას.

რამენაირად ყველამ უნდა შევძლოთ, რომ ამ ყველაფრის ირგვლივ გავერთიანდეთ. მათ მხრიდან გახმოვანებული ნეგატიური დღის წესრიგი აფერხებს კანდიდატის სტატუსის მიღებას, ამას უნდა შევხედოთ თავლებში და პირდაპირ უნდა ვთქვათ, თუკი ქვეყანაში რადიკალური ოპოზიცია იმისთვის მუშაობს, რომ ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი არ მიიღოს, შეიძლება ამან ხელი ვერ შეუშალოს კანდიდატის სტატუსის მიღებას, მაგრამ შემაფერხებელი გარემოება ბუნებრივად არის. ამიტომ, უნდა შევძლოთ საკუთარ თავზე მაღლა დავდგეთ, – განაცხადა მდინარაძემ.

მისი შეფასებით, ევროკომისიის 12 რეკომენდაციის ძალიან დიდი ნაწილი შესრულებულია.

– ჩვენ დაგვჭირდება დამატებითი კონსულტაციები იმასთან დაკავშირებით, რომ თითოეულ პუნქტს ჩავყვეთ, რომ ჩვენმა ევროპელმა კოლეგებმა ვერც ერთთან დაკავშირებით საყვედურის ტონიც ვერ გამოიყენოს ჩვენ მიმართ. 3 რეკომენდაცია აბსოლუტურად შესრულებულად ჩაითვალა ყველაზე კრიტიკული და კონსერვატიული მიდგომით, – განაცხადა მდინარაძემ.

ირაკლი კობახიძე: დეტალურ ანგარიშს წარვადგენთ, თუ როგორ შესრულდა 12-ვე რეკომენდაცია

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, ხელისუფლება დეტალურ ანგარიშს წარადგენს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შესრულდა 12-ვე რეკომენდაცია.

კობახიძის განცხადებით, 12-ვე პუნქტი პრინციპულად არის შესრულებული და ყველა შესაბამისი კანონი მიღებულია.

– დეტალურ ანგარიშს წარვადგენთ, თუ როგორ შესრულდა 12-ვე რეკომენდაცია. ჩვენ არსებითად პასუხისმგებელი ვიყავით კანონების მიღებაზე და ყველა შესაბამისი კანონი არის მიღებული. შესაბამისად, ჩვენ წარვადგენთ დეტალურ ანგარიშს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შესრულდა 12-ვე რეკომენდაცია.

რეალურად, 12-ვე პუნქტი პრინციპულად არის შესრულებული, ვინმეს თუ დამატებით რამე კითხვები აქვს, ამაზეც გავცემთ პასუხს და ამაზეც გვექნება მსჯელობა, საუბარი, მაგრამ 12-ვე პუნქტი პრინციპულად შესრულებულია. მათ შორის, სასამართლო რეფორმის პუნქტიც არის პრინციპულად შესრულებული, კანონი მივიღეთ ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად. ეს იყო ჩვენი ვალდებულება, რაც ჩვენ გავაკეთეთ 12 პუნქტის შესაბამისად, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

იაგო ხვიჩია: „ნაცმოძრაობას უნდა მოეხერხებინა ის, რომ გრიგოლ ვაშაძე ვერ ბედავდეს პარლამენტში ჯდომას, არათუ ტლიკინს“

ნაცმოძრაობას უნდა მოეხერხებინა ის, რომ გრიგოლ ვაშაძე ვერ ბედავდეს პარლამენტში ჯდომას, არათუ ტლიკინს, – იაგო ხვიჩია.

– მე ყოველთვის ვიცოდი, რომ გრიგოლ ვაშაძე ამორალური ადამიანია, – ეს განცხადება გირჩის ერთ-ერთმა ლიდერმა იაგო ხვიჩიამ გააკეთა.

იაგო ხვიჩიასათვის მიუღებელია ვაშაძის პოზიცია, რომელიც კულტურის კომიტეტზე ქართული ოცნების მიერ წარდგენილ კანონპროექტს მხარს უჭერდა.

ნაცმოძრაობა რომ პარტია იყოს, უნდა მოეხერხებინა ის, რომ გრიგოლ ვაშაძე ვერ ბედავდეს პარლამენტში ჯდომას, არათუ ტლიკინს და ქოცების მიერ შემოტანილი კანონების ღია მხარდაჭერას. მე ვეუბნებოდი ავტორებს, აქ წერია, რომ ავტორთა საზოგადოება, დღეს რომელიც ერთი და უნიკალურია და კობალაძე არის ამის უფროსი, ეს უქმდება და კობალაძის პოზიციას სხვა უფროსი დაიკავებს. გიგას ორგანიზაციის მოშორება უნდათ, მსგავსი ორგანიზაციის შემქნა და იმ ავტორებს, რომლებიც დღეს აქ იყვნენ მოსულები და, იმის გამო, რომ ქოცები დაარწმუნეს, მეტ ფულს მოგცემთო და ამაზე ოპოზოიცია ამბობდა, რომ ეს მეტი ფული რუსეთიდან მოაქვთო, ამაში მდგომარეობდა კანონის პრორუსულობა. ჩემთვის ამ კანონის პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ გიას თუ როგორც ექსკლუზიურ ორგანიზაციას აუქმებ და კიდევ შემოგაქვთ ახალი ექსკლუზიური ორგანიზაცია, რომელზეც ნაცები იძახიან რუსები არიანო და ავტორებს მოსწონთ, რადგან მეტ ფულს მივიღებთო, ამ აზრის დაფიქსირება მინდოდა და ამას მოჰყვა ის კონცერტი, რაც მოჰყვა. იქ იყვნენ უზრდელი წარმომადგნლები სცენაზე მყოფი ხალხის, რომლებსაც ვეუბნებოდი, როგორ იქცევით? – ამბობს ხვიჩია.

ზუგდიდში მანქანა ველოსიპედით მოძრავ მამაკაცს დაეჯახა

ზუგდიდში მანქანა ველოსიპედით მოძრავ მამაკაცს დაეჯახა.

ავტოსაგზაო შემთხვევა ზუგდიდში – რუსთაველის ქუჩაზე მანქანა ველოსიპედით მოძრავ მამაკაცს დაეჯახა. 60 წლამდე კაცი ამ დროისთვის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

არსებული ინფორმაციით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ლაგოდეხში, ტბაში 18 წლის გოგო დაიხრჩო

ლაგოდეხში, ტბაში 18 წლის გოგო დაიხრჩო. ადგილობრივების ინფორმაციით, სოფელ კართუბნის მიმდებარედ, ტბაში მეგობრები საცურაოდ წავიდნენ. ერთმა მათგანმა წყლიდან ამოსვლა ვერ შეძლო.

დაკარგული ახალგზარდის ცხედარი უკვე იპოვეს.

2023, 27 ივნისი, №124

„ნიკა გვარამია იმდენად ჭკვიანია, რომ ნაცმოძრაობაში არ მივა“

გიგა ბუკია: „უსტატუსოდ თუ დაგვტოვეს, „ქართული ოცნება“ უარესს იზამს, შეიძლება ავტორიტარიზმი დაამყაროს“

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, გიგა ბუკიას.

– ამ დღეებში ევროკავშირის საბჭომ შეხვედრაზე სტოკჰოლმში შუალედურად შეაფასა საქართველოს პროგრესი 12 რეკომენდაციის შესრულების გზაზე. შეფასებები საქართველოს მიმართ კეთილგანწობილი ჩანდა. ამასთან, მმართველი პარტია აგრძელებს ოპოზიციის დადანაშაულებას იმაში, რომ ის ხელს უშლის ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულებას და ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მონიჭებას. ოპოზიციის განცხადებებში, თავის მხრივ, გახშირდა იმის პედალირება, რომ კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ შემდგომი რეფორმები და ნაბიჯები „ქართული ოცნების“ კი არა, სხვების (ახლანდელი ოპოზიციის) გადასადგმელი იქნება. როგორ აფასებთ ამ ყველაფერს?

– ხელისუფლებისა და ოპოზიციის ეს განცხადებები თუ ქმედებები, სამწუხაროდ, არ ემსახურება ქვეყნის ინტერესს. „ქართული ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც, რომელიც ჯერ ისევ მთავარი ოპოზიციაა, ამ თემასაც საკუთარი პოლიტიკური და პარტიული ამოცანებისთვის იყენებენ.

2014 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე საკმაო დროა დარჩენილი, თუმცა, ორივე მათგანი უკვე წინასაარჩევნო რეჟიმზეა გადასული და ამას მოწმობს ის აქტიურობაც, რაც დაასახელეთ. ამ პოლიტიკურ ძალებს მეთოდებიც ძველი და აპრობირებული აქვთ – რადიკალიზმი და ერთმანეთთან დაპირისპირება.

ეს ოპოზიცია კი ამბობს, რომ არჩევნების შემდეგ სხვები იქნებიან ხელისუფლებაში, მაგრამ საამისოდ არაფერს აკეთებს. ნაცმოძრაობა, თავისი მძაფრი განცხადებებით, ხელისუფლების შეცვლაზე არაა ორიენტირებული. მისი ამოცანაა ისევ წამყვანი ადგილის შენარჩუნება ოპოზიციაში. „ქართული ოცნება“ ისევ ხელისუფლების შენარჩუნებისთვის იბრძვის. ორივე ცდილობს დაძაბულობის მუხტის შენარჩუნებას, გრადუსის აწევას ყველა საკითხის გამოყენებით. იქნება ეს რომელიმე პოლიტიკოსის ან ოპონენტის დაპატიმრება თუ სკანდალური კანონპროექტის წარმოდგენა. ბოლო ხანს ოპოზიცია ძალიან არასერიოზულად გამოიყურება. ამას უაზრო და არათანმიმდევრულ მოქმედებებთან ერთად ხელი შეუწყო ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ ლევან ხაბეიშვილის დამტკიცებამ.

– ნაცმოძრაობის ოპონენტები ფიქრობენ, რომ სააკაშვილის გააქტიურება, ასევე ნიკა გვარამიას (მათი აზრით, ნიკა გვარამია პოლიტიკაში მოვა და ნაციონალებს შეუერთდება) შეწყალებით გამოშვება ხაბეიშვილს უკან ჩააჩოჩებს.

– მოსაზრება ბევრნაირი შეიძლება გამოითქვას. დავიწყებ სააკაშვილით, რომელიც პატიმარია. გარდა ამისა, სააკაშვილი დიდი ხანია აღარ არის საქართველოს მოქალაქე. ამდენად, ის პარტიაში ვერ ბრუნდება. ჩემი აზრით, ნიკა გვარამია იმდენად ჭკვიანია, რომ ნაცმოძრაობაში არ მივა. გვარამია გარკვეულია ბევრ რამეში, მაგრამ პარტიის ლიდერობას სხვა უნარები, სხვა თვისებები სჭირდება და არა მგონია, რომ ის ამ პარტიის ხელმძღვანელობაში მოვიდეს.

30 წელიწადზე მეტია, მე და ჩემი თანამოაზრეები პოლიტიკაში ვართ და დიდი ხანია დავასკვენით, რომ ხალხი პოლიტიკოსებს არ ირჩევს მხოლოდ ხმამაღალი და რადიკალური განცხადებების გამო. ცუდი ისაა, რომ ამ მომენტში საზოგადოებას უწევს არჩევანი გააკეთოს ცუდსა და უარესს შორის.

– ეს ძველი პრობლემაა.

– დიახ, ძველი პრობლემაა, რომელსაც თავი ვერ დავაღწიეთ. ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც ვეღარ და აღარ უყურებენ პოლიტიკურ ტოქ-შოუებს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იქ ერთი და იგივე ხალხია. მეორეც, იმიტომ, რომ იქ არ ხდება სერიოზული, სახელმწიფოებრივი მსჯელობა, თუნდაც კამათი. დისკუსიების მაგივრად არის ერთმანეთის შეურაცხყოფა, ერთმანეთისთვის „მოღალატის“ ძახილი. ამ ძალებს შორის უწევს ხალხს არჩევნის გაკეთება. ეს ცუდია ქვეყნისა და მისი პერსპექტივისათვის.

– ამ სიტუაციაში დეპოლარიზაციაც ვერ მოხდება?

– დეპოლარიზაცია კი არა, პოლარიზაციის შემცირება ვერ ხდება. პოლარიზაცია როგორ შემცირდება, როცა არც ერთ მხარეს ეს არ აწყობს?! რამდენი მაგალითის დასახელება შეიძლება, როცა სიტუაცია განზრახ იძაბებოდა. დამშვიდებულ სიტუაციაში ხელისუფლება დგამდა ისეთ ნაბიჯებს, რომელსაც ოპოზიციის მხრიდან აწივლება და გაწამაწია მოჰყვებოდა ხოლმე. ამ დღეებში სერიოზული მოვლენები განვითარდა რუსეთის ფედერაციაში, რასაც ხელისუფლებაც და ოპოზიციაც სრულიად მოუმზადებელი შეხვდა.

– ოპოზიციონერებმა ხელისუფლებისგან რაღაც ზომების მიღება მოითხოვეს – უსაფრთხოების საბჭოს მოწვევა, საზღვრების ჩაკეტვა, რუსეთის მოქალაქეებისთვის ვიზების შემოღება და სხვა. ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ ეს საჭირო არ არის. თქვენ რაზე საუბრობთ?

– საქართველოში ამ თემაზეც საკუთარი თავის რეკლამირება სცადეს ოპოზიციონერებმა. ხელისუფლებაც სხვანაირად უნდა მოქცეულიყო. იმ დროს, როცა მსოფლიოში ყველა აკვირდებოდა ამ მოვლენებს, ჩვენი პოლიტიკური სპექტრიც უნდა შეკრებილიყო (ტელევიზიების გარეშე) და ესაუბრა ამ პროცესებზე. მანამდე ოპოზიციას მორატორიუმი უნდა გამოეცხადებინა და დროებით თავი დაენებებინა ხელისუფლების კრიტიკისათვის. თორემ, რა გამოვიდა? ყველამ ქულები დაიწერა, „ლელომ“, მაგალითად, 5-პუნქტიანი გეგმა წარმოადგინა. სამწუხაროდ, ისტორიამ ვერაფერი გვაწავლა.

– რა გაქვთ მხედველობაში?

– 90-იან წლებში რუსეთში მოხდა პუტჩი. ზვიად გამსახურდიას მაშინდელი ოპოზიცია, იმის მაგივრად, რომ დროებით გაჩერებულიყო, თავს ესხმოდა ხელისუფლებას და გვარდიის დაშლას საყვედურობდა.

2008 წელს, როცა რუსეთი თავს დაგვესხა, ჩვენ, სააკაშვილის მაშინდელმა ოპოზიციამ, კრიტიკაზე დროებითი მორატორიუმი გამოვაცხადეთ. ახლანდელი მოვლენები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ხდებოდა, მაგრამ არსებობდა საფრთხე. ამასთან, ზუსტად არავინ იცოდა, რა ხდება, რა არის დადგმული და შეთანხმებული. მსოფლიო მოვლენებს აკვირდებოდა. საქართველოს პოლიტიკურ სპექტრსაც ჯერ დაკვირვება უნდა მოეხდინა, უნდა შეკრებილიყო და მშვიდად ემსჯელა, ერთმანეთთან კინკლაობისათვის თავი უნდა დაენებებინა. არაკოლეგიალურად გამომდის, მაგრამ ასეა.

– თქვენი შეფასებით, რატომ გადაწყვიტა სააკაშვილმა საქართველოს პოლიტიკაში გააქტიურება?

– როცა საქართველოში შემოვიდა (უფრო სწორად, შემოიპარა), სააკაშვილს სხვა იმედი და ამოცანა ჰქონდა. მას ეგონა, რომ ხალხი ხელში აიყვანდა და ტახტზე დააბრძანებდა. ამაში მოტყუვდა. შემდეგ ციხეში მოხვდა. მისი შემდგომი ამოცანა გახდა მსოფლიოსთვის თავის შეცოდება და საპატიმროდან თავის დაძვრენა. ამისათვის ყოფილმა პრეზიდენტმა ისეთი ხერხები გამოიყენა, რომ საკუთარ თავსაც ლაფი დაასხა და ქვეყანასაც ჩრდილი მიაყენა. ამგვარ რამეს სერიოზული პოლიტიკოსები არ კადრულობენ. ამ მეთოდმაც არ გაჭრა. ბოლოს სააკაშვილს ჩრდილში მოქცევის შეეშინდა. მან გადაწყვიტა, რომ საზოგადოებას თავი არ დაავიწყოს. ამიტომაც განაცხადა, რომ საქართველოს პოლიტიკაში აქტიურდება. არადა, პატიმარია, მოქალაქეობა არა აქვს. პარტია, რომლის თავმჯდომარეც ადრე იყო, საშინელ მდგომარეობაშია.

– მართლა ასე ცუდად აქვს საქმე ნაცმოძრაობას?

– რასაკვირველია. ახლანდელ ყოფნას, ჯობია, პარტია დაშლილი იყოს. პარტიული ტელევიზიებითა და ლობისტებით ინარჩუნებენ თავს. სააკაშვილს, ასევე ნაციონალებს მსუყედ დაფინანსებული ლობისტები საქართველოს შიგნითაც ჰყავთ და გარეთაც.

– წლის ბოლოს ოფიციალურ პასუხს მივიღებთ კითხვაზე – ხდება თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი. როგორი მოლოდინი გაქვთ?

– მინდა, მჯეროდეს, რომ ახლა მაინც მივიღებთ ამ სტატუსს. ჩემი აზრით, კანდიდატობა შარშან უნდა მიგვეღო. საქართველო ამას იმსახურებს. ეს შანსი არ უნდა დაგვიკარგონ. ამ სტატუსის არმოცემა იქნება უდიდესი გეოპოლიტიკური შეცდომა.

რა გამოდის? თუ უარი გვითხრეს, საქართველო დარჩება სტატუსისა და იმედის გარეშე, რუსეთიდან საფრთხის წინაშე. ვინც არ უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლებაში, რა შეცდომებიც არ უნდა ჰქონდეს ხელისუფლებას, ეს შანსი საქართველოს უნდა მისცენ. სააკაშვილი რომ იყოს ხელისუფლებაში, უკეთესი მდგომარეობა არ გვექნებოდა. იყვნენ ეგენი ხელისუფლებაში და გამოვცადეთ, რა დაგვმართეს.

„ქართულ ოცნებას“ ბევრი ნაკლი აქვს. მმართველი პარტიის მთავარი თემა დღემდე ნაცმოძრაობაა. საკუთარ თავზე ვერ ლაპარკობენ, იმდენი აქვთ მიქარული. ურჩევნიათ, საშინელ ნაცმოძრაობას შეედარონ. უსტატუსოდ თუ დაგვტოვეს, ეს ხელისუფლება უარესს იზამს. შეიძლება გარკვეული ხნით „ოცნებამ“ ავტორიტარიზმი დაამყაროს. რამდენიმე წლით საქართველოში ავტორიტარიზმის დამყარება შესაძლებელია. ამის მაგალითია სააკაშვილის მმართველობა.

იმედი მაქვს, საქმე აქამდე არ მივა, საქართველო ევროპას დაუახლოვდება, შემდგომში კი გახდება მისი სრულუფლებიანი წევრი.

რა ახალ დეტალებზე საუბრობს დიდ დიღომში გარდაცვლილი 12 წლის ანას დედა

დიდ დიღომში გარდაცვლილი 12 წლის გოგონას, ანა იანუშაიტიტეს დედა, ნატო ხუტაშვილი „მთავარ არხთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ანას მარცხენა ხელის ფრჩხილში აქვს შავი თმა გაჩხერილი.

მისივე თქმით, ეს მისი შვილის არ არის, რადგან მას ოქროსფერი თმა აქვს, ხოლო ფრჩხილში კი შავი ფერის აქვს შერჩენილი.

– მარცხენა ხელის ფრჩხილში აქვს ბავშვს თმა გაჩხერილი. ეს არის ხვეული, შავი თმა და არანაირად არ არის ჩემი შვილის, რადგან ჩემს შვილს გრძელი ოქროსფერი თმები აქვს. ეს არც იმ ძაღლის ბეწვი არ არის, რომელსაც ეფერებოდა, რადგან მას ოქროსფერი ბეწვი აქვს. ძალიან შეშლილი სახე ჰქონდა, არეული და ანერვიულებული იყო□შეხლა-შემოხლის დროს ბავშვს ეს თმა აქვს გამოგლეჯილი.

გამორბოდა ჩემი მეუღლე, როდესაც ბავშვი ჯერ კიდევ ცოცხალი ეგონა და ის ნაძირალა შემთხვევის ადგილიდან მოდიოდა. მითხრა, მინდოდა მეკითხა რამე, მაგრამ იმდენად შეშლილი სახე ჰქონდა, არაფერი აღარ ვკითხეო. სპორტული აღნაგობის ტიპია, ეცვა შავი სპორტულები და იმედი მაქვს, ფოტო-რობოტის აღდგენას შეძლებენ, – საუბრობს ანას დედა.

12 წლის ანა იანუშაიტიტეს გარდაცვალების საქმეზე სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო წინასწარი დასკვნა მზადაა. წინასწარი დასკვნა 28 აპრილს გადაეცა დაზარალებულის უფლებამონაცვლეს, ბავშვის დედასა და „უფლებები საქართველოს“ ადვოკატებს.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ცნობისთვის, დიდ დიღომში 12 წლის მოზარდი გარდაცვლილი მიმდინარე წლის 16 მარტს იპოვეს.

საბაჟო გამშვებ პუნქტებში „სარფი“ და „სადახლო საავტომობილო“, კანონდარღვევის 2 ფაქტი აღიკვეთა



საბაჟო გამშვებ პუნქტებში „სარფი“ და „სადახლო საავტომობილო“, კანონდარღვევის 2 ფაქტი აღიკვეთა. ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, უცხო ქვეყნის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, ჯამში, 40872,49 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები (საერთო წონა: 406,8 გრამი) აღმოაჩინეს.

უწყების განმარტებით, კანონდამრღვევი სომხეთის მოქალაქის მიმართ, საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა, ხოლო რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს, 168-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა 6154.73 ლარის ოდენობით შეეფარდა.

ზელენსკისა და დუდას სატელეფონო საუბარი შედგა

შედგა უკრაინის პრეზიდენტის ზელენსკისა და მისი პოლონელი კოლეგის დუდას სატელეფონო საუბარი. ის ძირითადად ნატოს სამიტს შეეხებოდა. სამიტი ვილნიუსში შედგება 11-12 ივლისს.

ზელენსკიმ განაცხადა, რომ უკრაინა ნატოში გაწევრიანებას ესწრაფვის. დუდამ ამ საქმეში სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

უკრაინული არმიის გენშტაბის ცნობით, რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია:

ტანკები – 4.030; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 7.806; არტილერია – 4.034; ჰაერსაწინააღმდეგო თადაცვის საშუალებები – 385; თვითმფრინავები – 314. განადგურებულია 225.000 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

როგორ დაიგეგმა ორი შვილის დედის მკვლელობა



კიდევ ერთი უმძიმესი დანაშაული, რომელზეც ვერდიქტი ნაფიცმა მსაჯულებმა გამოიტანეს. მკვლელობა ანგარებით – ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე ბინაში, ზუსტად 9 თვის წინ ახალგაზრდა ქალს უმოწყალოდ სცემეს და მოკლეს. საქმე გახსნილია – 38 წლის პაატა პეტრიაშვილი ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ სცნეს. მეგობარი ქალის, ოლენა პაშინინას განზრახ მკვლელობის ბრალდებით, მას 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მეზობლები ჰყვებიან, რომ ახალგაზრდა ქალის მკვლელობამდე მათ უჩვეულო არაფერი შეუნიშნავთ.

ის, რაც მეზობლებმა ვერ შენიშნეს, დაფიქსირა სათვალთვალო კამერამ. „პოსტსკრიპტუმის" მიერ მოპოვებული საქმის მასალები უმძიმეს ფოტო და ვიდეო მტკიცებულებებს ასახავს. ჩანაწერებით ირკვევა, რომ ბრალდებულს დანაშაული წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი. კვალის არევის მიზნით, ის მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილს სხვა გზით, ჩიხების გავლით მიუახლოვდა, თუმცა, რამდენიმე კამერას თავი მაინც ვერ აარიდა, მათ შორის, კორპუსის სადარბაზოსთან დამონტაჟებულ ამ სათვალთვალო მოწყობილობას. ჩანაწერების გაშიფვრით ირკვევა, რომ პაატა პეტრიაშვილი შედის ოლენა პაშინინას სადარბაზოში, რამდენიმე წუთში კი, ტერიტორიას ტოვებს. მტკიცებულებებით ირკვევა, რომ ბრალდებული მკვლელობიდან დაახლოებით სამი საათის შემდეგ დანაშაულის ადგილზე სხვა ტანსაცმლით ბრუნდება. სავარაუდოდ, კვალის წაშლის მიზნით.

ნაფიცმსაჯულებს პროკურატურამ სხვა მტკიცებულებებთან ერთად ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული ნივთები წარუდგინა, მათ შორის აღმოჩნდა მოკლულის ძვირფასეულობა. პაატა პეტრიაშვილის დედა გვეუბნება, რომ მისი შვილი უდანაშაულოა. ნივთმტკიცებულებები კი ადგილზე საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებმა ჩაუდეს. დედა უარყოფს იმასაც, რომ პეტრიაშვილი წლებია აზარტულ თამაშებზე იყო დამოკიდებული.

ბრალდებულის დედა უარყოფს, თუმცა, „რუსთავი 2" გაეცნო პაატა პეტრიაშვილის ყოფილი მეგობარი ქალის ჩვენებას, რომელიც მან ნაფიცმსაჯულთა წინაშე მისცა. მოწმე ადასტურებს, რომ ბრალდებული აზარტული მოთამაშე იყო.

ქალზე ძალადობის ბრალდებით, პაატა პეტრიაშვილი წარსულში ორჯერ არის ნასამართლევი. ადვოკატი ამბობს, რომ ოლენა პაშინინას მკვლელობა მას არ ჩაუდენია და ნაფიცმსაჯულებმა ვერდიქტი მოსამართლის მითითების შესაბამისად გამოიტანეს. დაცვის მხარე განაჩენის გასაჩივრებას გეგმავს.

რა გახდა მკვლელობის მოტივი? – ამ კითხვაზე პროკურატურას ცალსახა პასუხი აქვს. ბრალდების მხარე გვეუბნება, რომ პაატა პეტრიაშვილმა დანაშაული ანგარების მიზნით ჩაიდინა, სახლიდან წაღებულია მოკლული ქალის ძვირფასეულობა და ფული. პროკურორი ამბობს იმასაც, რომ ბრალდებულმა მკვლელობის შემდეგ ტანსაცმელი გამოიცვალა და კვალის წაშლის მიზნით გადაყარა.

საბოლოოდ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები გაიზიარა, თუმცა, ეს არ არის ფემიციდის პირველი საქმე, სადაც მსაჯულებმა გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანეს. იგივე ვერდიქტით დასრულდა სასამართლოში სხვა რამდენიმე გახმაურებული მკვლელობის განხილვა.

პაატა პეტრიაშვილი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 18-წელი დარჩება. მოკლულ ოლენა პაშინინას ორი შვილი დარჩა.

პროკურორი: ბაჩალიაშვილის საქმეზე ყოფილმა გამომძიებელმა, სერგო შუბითიძემ დაადასტურა, რომ გამოძიებას და სასამართლოს ცრუ ჩვენება მიაწოდა

პროკურორ მარი მეშველიანის განცხადებით, გარდაცვლილი პროგრამისტის, თამარ ბაჩალიაშვილის საქმეზე ყოფილმა გამომძიებელმა, სერგო შუბითიძემ დაადასტურა, რომ გამოძიებას და სასამართლოს ცრუ ჩვენება მიაწოდა.

მისი თქმით, გამოძიებით დადასტურდა, რომ თითოეული ის ინფორმაცია, რაც ბრალდებულმა სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას განაცხადა, სიცრუე იყო.

პროკურორის ინფორმაციით, ბრალდების მხარე სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით მიმართავს.

ბრალდებული აღიარებს დანაშაულს. მან დაადასტურა, რომ გამოძიებას და სასამართლოს მიაწოდა ცრუ ჩვენება. მას ბრალდება მოწმის მიერ მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის მიზნით ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტზე აქვს წარდგენილი. საქმეზე ჩატარებული გამოძიებით უტყუარად დადასტურდა, რომ თითოეული ის ინფორმაცია, რაც ბრალდებულმა განაცხადა სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას იყო სიცრუე და არ შეესაბამებოდა რეალობას. როგორც ბრალდებულმა განმარტა, მან თქვა რომ დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის სასამართლოს. პროკურატურა სასამართლოს მიმართავს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, ვინაიდან, არსებობს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების როგორც ფაქტობრივი, ასევე ფორმალური საფუძვლები, – აცხადებს მეშველიანი.

ადვოკატი: სერგო შუბითიძე აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს

გარდაცვლილი პროგრამისტის, თამარ ბაჩალიაშვილის საქმეზე ყოფილ გამომძიებელს, სერგო შუბითიძეს ბრალი წაუყენეს. როგორც ბრალდებულის ადვოკატმა დარეჯან ბუცხრიკიძემ განაცხადა, შუბითიძე წარდგენილ ბრალდებას ეთანხმება.

– აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს და ამბობს, რომ მას შეეშალა, პირადად ბაჩალიაშვილის ტელეფონზე არ იყო საუბარი. არაერთხელ ვიყავით გამომძიებელთან და საქმის მასალები ვიცით, ის ჩადენილ დანაშაულს აღიარებს, ნაჩქარევი აღმოჩნდა მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. ეს ინფორმაცია ეხებოდა ისეთ ადამიანებს, რომელთა რეპუტაციაც შეიძლებოდა შელახულიყო, – განაცხადა ადვოკატმა.

ამასთან, კითხვაზე, ხომ არ ყოფილა გამომძიებელ სერგო შუბითიძეზე ზეწოლა მის მიერ მიცემული ინტერვიუს შემდეგ, ადვოკატი ამბობს, რომ „არავითარი ზეწოლა არ ყოფილა".

პროკურატურის ინფორმაციით, ყოფილი გამომძიებელი სერგო შუბითიძე მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემით მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის ფაქტზე დააკავეს.

მდინარე წყალწითელაში 15 წლის მოზარდი დაიხრჩო

ქუთაისში, მდინარე წყალწითელაზე, მოზარდი დაიხრჩო.

არსებული ინფორმაციით, 15 წლის მათე ლაღაძე მდინარეზე მეგობრებთან ერთად იყო, რა დროსაც ტრაგიკული შემთხვევა მოხდა.

გარდაცვლილი სპორტსმენია, ის ქუთაისის საფეხბურთო კლუბ „ქუთაისის" 15 წლამდე ასაკობრივი გუნდის წევრი იყო.

საზოგადოება

ზაზა შენგელია ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსებს: „აერიდეთ რუსეთს!"

„ბრავო რეკორდსის" ხელმძღვანელი ზაზა შენგელია ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსებს რუსეთისგან თავის არიდებას ურჩევს:

– ყველა ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთან მაქვს ერთი გულწრფელი რჩევა: აერიდეთ რუსეთს და მის მუსიკალურ ბაზარს. და არა მარტო იმიტომ, რომ რუსეთი ოკუპანტია, ჩვენი მტერია, რომელიც ჩაგრავს და კლავს თავის მეზობლებს და იპყრობს მათ ტერიტორიებს, არამედ კიდევ იმიტომაც, რომ ის არასწორ ღირებულებებზეა დაყრდნობილი – რუსულ შანსონსზე, „ბლატნოი" სიმღერებზე და პაპსაზე აღმოცენებული თანამედროვე რუსული პოპ-კულტურა არის ერთ-ერთი ყველაზე სუროგატული, ტოქსიკური, მდარე და უგემოვნო შემოქმედება, რამაც, თავის მხრივ, დიდი როლი ითამაშა რუსეთის მოსახლეობის „გაპრიმატებასა" და „ბიდლოიზაციაში", რომელიც, სამწუხაროდ, დღეს სახეზეა და რომელიც არც ერთ მუსიკოსს არ მისცემს განვითარებისა და ზრდის საშუალებას. ამის გამო, ბევრმა ჭეშმარიტად და მეტ-ნაკლებად ნიჭიერმა და ღირებულმა რუსმა მუსიკოსმა ჯერ კიდევ წლების წინ დატოვა რუსეთი, რამდენიმე წლის წინ, ლეგენდარული ჯგუფის „მაშინა ვრემენის" ლიდერი, შესანიშნავი მუსიკოსი ანდრეი მაკარევიჩი „ბიდლომ" შუაგულ მოსკოვში, დღისით მზისით ნაგვის ურნაში ჩააყუდა და მანაც დატოვა რუსეთი.

მე და ჩემი მეგობრები, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როცა თბილისში ყოველ კვირა ირინა ალეგროვას, ლონია აგუტინის, მიხაილ შუფუტინსკის, ალიონა აპინასა და სხვათა კონცერტები სრული ანშლაგებით ტარდებოდა, ყველანაირად ვცდილობდით და ვიბრძოდით იმისათვის, რომ მაშინდელი ახალგაზრდების გემოვნება შეგვეცვალა და მათ ჰქონოდათ საშუალება, რუსების ნაცვლად, თბილისში ენახათ ცნობილი ამერიკელი თუ ევროპელი ვარსკვლავების კონცერტები. მერწმუნეთ, ეს არ იყო ადვილი და ამ გზაზე უამრავი ბრძოლის, ტანჯვისა და წვალების გამოვლა მოგვიწია. არ მინდა ვიფიქრო, რომ ეს ყველაფერი ფუჭი იყო.

რაც შეეხება ნუცა ბუზალაძეს, ნიჭიერების გარდა, მან ნამდვილად ბევრი იშრომა და მის მიერ „ამერიკან აიდოლში" მიღწეული წარმატება მართლაც უპრეცედენტოა თავისი მასშტაბებით და ის ნამდვილად არის პირველი არაამერიკელი, რომელმაც ამ პრესტიჟული მეგაშოუს ისტორიაში ფინალამდე შეძლო გასვლა. მე ნამდვილად არ ვარ არც მისი მენეჯერი და არც პროდიუსერი, თუმცა, ამერიკიდან მისი დაბრუნების შემდეგ გვქონდა საუბარი ცალკეულ ერთობლივ სამომავლო პროექტებზე. სწორედ ამ საუბრის დროს შევიტყვე მისგან, რომ ტელეშოუს დამთავრების შემდეგ მან ხელი მოაწერა კონტრაქტს 2 ალბომის ჩაწერაზე ჰოლივუდში, რაც ნებისმიერი მუსიკოსისათვისაა საოცნებო. ასევე მან მითხრა, რომ ჰქონდა შემოთავაზებები რუსეთიდან, მაგრამ ის არ აპირებდა რუსებთან მუშაობას...

მოსკოვში შემდგარ წვეულებასთან დაკავშირებით მან განცხადება გააკეთა და ბოდიშიც მოიხადა, თუმცა, რაც უნდა ახლო მეგობრის დაბადების დღე ყოფილიყო, მე პირადად, მის ადგილას არც ამ წვეულებაზე წავიდოდი და რომ მცოდნოდა, რომ მიდიოდა, აუცილებლად ვურჩევდი, რომ არ წასულიყო. ნუცას ამ ნაბიჯს ვერაფრით ვერ ვამართლებ. დღეს რუსეთში ნებისმიერ რანგში ქართველი მომღერლის ან მუსიკოსის გამოსვლა არის არასწორი და მიუღებელი. მან ამ ნაბიჯით გული ატკინა თავისი გულშემატკივრების დიდ ნაწილს, ვინც მას გულით უჭერდა მხარს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

რამდენად უსაფრთხოა შავი ზღვა საქართველოში – სპეციალისტების შეფასებები და პროგნოზები

ქიმიური და მიკრობიოლოგიური დაბინძურების საფრთხე შავ ზღვაში – კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის განადგურების გამო, შავი ზღვა მძიმე დაავადებების გავრცელების წყაროდ იქცა. ზღვაში დიდი ოდენობით ტოქსიკური ნივთიერებები ჩაიღვარა. რეალური საფრთხე წყალში მოხვედრილი შხამ-ქიმიკატებია, რომლებსაც ფერმერები საცავებში ინახავდნენ. სპეციალისტებმა ამონიუმის, აზოტის, ნიტრატების, ქლორიდების, რკინის და მყარი ნივთიერებების ჭარბი რაოდენობა აღმოაჩინეს. შავი ზღვის მარილიანობა მკვეთრად შემცირდა და ოდესასთან ახლოს, ზღვის მარილიანობა თითქმის სამჯერ არის დაკლებული, რაც ზღვაში მტკნარი წყლის შედინებით იხსნება.

ქოლერა, ბოტულიზმი, ციმბირული წყლული – ეს არის იმ დაავადებების მცირე ჩამონათვალი, რომელიც შესაძლოა შავი ზღვიდან გავრცელდეს. უკრაინიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. ახლა ყველას აინტერესებს, წარმოადგენს თუ არა საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში ბანაობა საფრთხეს? – ამ კითხვაზე სპეციალისტებს ერთი პასუხი აქვთ – არა!

პრობლემა რეალურია უკრაინისთვის. ქვეყანამ ოფიციალურად აკრძალა ბანაობა და თევზაობა შავი ზღვის სანაპიროზე, ოდესაში. უკრაინის მოსახლეობას წყლის დეზინფექციისთვის სპეციალური ტაბლეტების გამოყენებას ურჩევენ – ამ წამლებს ადგილობრივი ხელისუფლება არიგებს.

ადგილობრივები ყოველდღიურად ავრცელებენ კადრებს, სადაც ჩანს, რომ ზღვა მწვანე ფერისაა. როგორც აცხადებენ, აქვს არასასიამოვნო სუნიც. შავი ზღვის სანაპირომ უჩვეულოდ მწვანე ფერი მიიღო ანექსირებული ყირიმის სანაპირო ზოლშიც. ეკოლოგები მოსალოდნელი რისკების შესახებ უკრაინის მეზობელ ქვეყნებსაც აფრთხილებენ.

შავი ზღვის მონიტორინგი გაძლიერდა რუმინეთში. სპეციალისტების შეფასებით, ქიმიური ნაერთებით და სხვა უცნობი ნივთიერებებით დაბინძურებული ტალღა, შავი ზღვის რუმინულ წყლებში რამდენიმე დღეში შეაღწევს, შემდეგ ბულგარეთში გადავა, სადაც უკვე მიიღეს მკაცრი ზომები. შეიქმნა სპეციალური ჯგუფები, რომლებიც წყლის ხარისხს ამოწმებენ. ბულგარეთის შემდეგ კი არის თურქეთის 1329-კილომეტრიანი სანაპირო ზოლი. თურქეთი, ისევე, როგორც საქართველო, აგრძელებს წყლის ხარისხის შემოწმებას და დაკვირვებას.

წლის რომელ მონაკვეთში, როგორ მოძრაობს და ცირკულირებს შავი ზღვის დინება – მთავარი დინება გარს უვლის ზღვას საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით ნაპირებთან ახლოს. ამ შეკრული წრის შიგნით გამოიყოფა იმავე მიმართულების ორი ციკლონური დინება – დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარე, რომელიც ზღვას ფაქტობრივად ორ ნაწილად ყოფს.

შავ ზღვაში დინების სიჩქარე დაახლოებით 20-30 სანტიმეტრია წამში. მანძილი კი, რომელიც დინებამ უნდა გაიაროს, დაახლოებით 1300 კილომეტრი. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენამდე მოსაღწევად რამდენიმე თვე დასჭირდება. თუმცა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, შავი ზღვის მარილიანობა ხელს უშლის ბაქტერიოლოგიური დაბინძურების გავრცელებას. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ პერიოდამდე შავი ზღვა, ჯანსაღი ეკოსისტემის გათვალისწინებით, ბალანსის აღდგენას მოახერხებს.

სხვა ქვეყნებთან ერთად, საქართველოც მუდმივად ამოწმებს შავ ზღვაში წყლის ხარისხს. გარემოს ეროვნული სააგენტო შავი ზღვის წყლის ხარისხის მონიტორინგს ცხრა სადგურზე ყოველთვიურად აწარმოებს, რითაც ისაზღვრება ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები მარილიანობის ჩათვლით, ასევე, წყალში გახსნილი ჟანგბადისა და ბიოგენური ელემენტების შემცველობა. ხორციელდება მძიმე მეტალებისა და ორგანული დამაბინძურებლების კვლევა ზედაპირულ და ფსკერისპირა ფენაში.

მწვანე კონცხი, ბათუმის ნავსადგური, ჭოროხის შესართავი, სარფი, გრიგოლეთი ერთი, გრიგოლეთი ორი, ურეკი, ყვავილნარი, ფოთი მალთაყვა – ეს ის სადგურებია, სადაც მუდმივად ხდება წყლის ხარისხის შემოწმება.

მაგალითად, ამ თვეში მარილიანობა 13-დან 16%-მდე მერყეობს. ტემპერატურა საშუალოდ 21-22 გრადუსია, მონმდება ნიტრატების, ასევე ამონიუმის და ფოსფატების შემცველობა. მოწმდება ელექტროგამტარობაც.

რას ნიშნავდა პრიგოჟინის პუტჩი?!

რუსეთში დატრიალებულმა უკანასკნელმა მოვლენებმა მსოფლიო შეძრა. ქვეყანაში რეალურად შეიქმნა სამოქალაქო ომის საფრთხე. ვაშინგტონში სუკის ექსრეზიდენტის იური შვეცის ცნობით, აშშ-ს სადაზვერვო თანამეგობრობა, თეთრი სახლი და სახელმწიფო დეპარტამენტი დაძაბულნი მუშაობდენ. მათ, რაც შეიძლება სწრაფად, უნდა გაერკვიათ, თუ რა მიმართულებით შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები რუსეთში.

ევგენი პრიგოჟინის პერსონა აშშ-ში არაერთგვაროვან გრძნობებს აღძრავდა. დავიწყოთ იქედან, რომ ის კრიმინალური წარსულის მქონე კაცია. პრიგოჟინი ნასამართლევი იყო ქურდობისათვის, ძარცვისათვის, ყალთაბანდობისათვის. ის ფაქტი, რომ შეიწყალეს და ვადაზე ადრე გაათავისუფლეს, მის სპეცსამსახურებთან კავშირზე მიუთითებს.

პრიგოჟინი პუტინის კარზე ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა გახდა. ეს გავლენა განსაკუთრებით გაძლიერდა რუსეთ-უკრაინის ომის დროს. პრიგოჟინის მიერ შექმნილი გასამხედროებული ფირმა „ვაგნერი“ ფაქტიურად თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში იყო, თუმცა, ის დამოუკიდებელ სტრუქტურას წარმოადგენდა.

„ვაგნერში“ თავი მოუყარეს სისხლის სამართლის დამნაშავეებს. მათ შორის მძიმე დანაშაულის გამო (მკვლელობა, ძარცვა, გაუპატიურება და ა.შ.) გასამართლებულებს. ასეთ ხალხს იყენებდნენ მსოფლიოს ცხელ წერტილებში (უკრაინა, სირია ლიბია და ა.შ.). ამას გარდა, პრიგოჟინი აქტიურად იყო ჩაბმული ანტიამერიკულ აქციებში (აშშ-ს არჩევნებში ჩარევა და ა.შ.). ამის გამო ის დასანქცირებულიც იყო.

პრიგოჟინის გავლენის ზრდამ სამხედროებში უკმაყოფილება გამოიწვია. ამათგან, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ თავდაცვის მინისტრი შოიგუ და რუსეთის გენშტაბის ხელმძღვანელი გერასიმოვი.

წინააღმდეგობა გაღვივდა. შოიგუმ მიაღწია იმას, რომ „ვაგნერი“ ბახმუტში, ანუ რუსეთ-უკრაინის ფრონტის ყველაზე ცხელ უბანზე გაგზავნეს. აქ ვაგნერელთა უმრავლესობა დაიღუპა. ამის შემდეგ შოიგუმ მოითხოვა, რომ „ვაგნერი“, ფაქტიურად, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დამორჩილებოდა. პრიგოჟინი ამას შეეწინააღმდეგა. პასუხად, შოიგუს ბრძანებით, „ვაგნერის“ სასწავლო ბანაკები დაბომბეს. პრიგოჟინმაც მოსკოვზე ლაშქრობის შესახებ გამოაცხადა.

პრიგოჟინის პუტჩი არ ყოფილა ინსცენირებული. ის იყო შედეგი იმ დაპირისპირებისა, რაც დღეს რუსეთის ელიტაშია. მართალია, პრიგოჟინს არ ჰყავდა მრავალრიცხოვანი არმია, მაგრამ მოქმედებდა ტიპური „ბრატიშკას ფილოსოფიიდან“ გამომდინარე: რაკი ჩემი მოშორება სურთ, დედას ვუტირებ ყველას, ვისაც მსგავსი სურვილი დაებადა. პრიგოჟინმა ადვილად დაიკავა როსტოვი, ქალაქი, სადაც სამხრეთის „ოკრუგის“ ხელმძღვანელობა იმყოფება. ჯარისკაცები ან დაიფანტნენ, ან პუტჩისტების მხარეს გადავიდნენ. ამან პუტინი დააფეთა. მართალია, გენერალიტეტი დიქტატორის მხარეს იჭერდა, მაგრამ ჯარისკაცებს შორის სხვაგვარი განწყობილება სუფევდა. არმიის გათიშვის საფრთხე რეალური გახდა.

ამან აიძულა პუტინი კომპრომისზე წასულიყო. თავისი ვასალის ლუკაშენკოს პირით მან პრიგოჟინს ფაქტიურად ჯაიმი შესთავაზა: პუტჩისტი მოსკოვზე ლაშქრობას შეწყვეტს, პუტინი კი გააუქმებს მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს.

პრიგოჟინს, თავის მხრივ, არჩევანი არ ჰქონდა. ძალები მოსკოვის ასაღებად მას არ გააჩნდა. სამოქალაქო ომის საფრთხე რეალური იყო, ომში კი ადამიანები იღუპებიან, მათ შორის, პუტჩისტების მეთაურებიც. პრიგოჟინიც დათანხმდა.

ამრიგად, ამ ეტაპზე რუსეთი სამოქალაქო ომს გადაურჩა, თუმცა, ის ფაქტი, რომ დიქტატორი პუტჩისტთან და სისხლის სამართლის დამნაშავესთან გარიგებაზე წავიდა, ნათლად გვიჩვენებს ერთს – რუსეთის სახელმწიფოში დამანგრეველი პროცესები მიმდინარეობს, რუსეთ-უკრაინის ომმა კი ის დააჩქარა. ომი გაგრძელდება, შესაბამისად, კრიზისი რუსეთში გაძლიერდება.

უკრაინელებმა წარმატებებს დონბასში მიაღწიეს

უკრაინული არმია შვიდი მიმართულებით უტევს. კერძოდ, უკრაინელებმა წარმატებებს მიაღწიეს დონბასში, მათ შორის, ფრონტის ყველაზე ცხელ წერტილში – ბახმუტში.

ბახმუტის გარდა, უკრაინულმა არმიამ წარმატებული ოპერაციები ჩაატარა ავდეევკასთან, მარინკასთან, უგლედართან და ა.შ. ასევე წარმატებებია ზაპოროჟიეს ოლქში. გათავისუფლებულია დონბასის ის ნაწილი, რომელიც რუსეთს 2014 წლიდან ჰქონდა ოკუპირებული. ბრიტანეთის დაზვერვა საგანგებოდ აღნიშნავს უკრაინელთა წარატებებს ფრონტზე.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რამაზ სვანაძე: უნდა შევიგრძნოთ ის ატმოსფერო, რაც არა მარტო სტადიონზე, არამედ ქვეყანაშია

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ახლოს არის, კიდევ ერთი ისტორია დაწეროს და ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვოს.

ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში ჩვენი გუნდი ნიდერლანდებს ეთამაშება. მატჩამდე გამართულ პრეს-კონფერენციაზე ორივე გუნდის მთავარმა მწვრთნელებმა ისაუბრეს.

რამაზ სვანაძე:

– რთულ თამაშს ველოდებით. დაგვრჩა ერთი, მაგრამ ყველაზე რთული ნაბიჯი იმ ოცნებამდე, რასაც ევროპის ჩემპიონატის ფლეი ოფში თამაში ჰქვია. ვემზადებით და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ქართველი გულშემატკივარი კიდევ ერთხელ გავახაროთ...

ჩვენთვის ამ რთულ ჯგუფში ნებისმიერი თამაში ფინალის ტოლფასია, ამიტომ ფსიქოლოგიურად პრობლემა არ იქნება. ძალიან რთულია ამ ჯგუფში 3 ქულა წინასწარ დაგეგმო. თუმცა, ორი ტურის შემდეგ, ჯგუფის ლიდერები ვართ და ყველა გაერთიანებული ვართ იმისათვის, რომ ლოგიკურად დავასრულოთ ის, რაც დავიწყეთ...

ნიკა გაგნიძე სერიოზულ დაზიანებას გადაურჩა. საოპერაციო არ არის, მაგრამ ერთთვიანი რეაბილიტაცია მოუწევს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატზე მოედანზე ვეღარ დაგვეხმარება, ჩვენთან დარჩება. ნიკა არის ამ ნაკრების გული მოედანზე თუ მის მიღმა. ის არის პიროვნება, რომელმაც თურქეთში ძალიან სარფიან კონტრაქტზე თქვა უარი, რადგან არ ჰქონდა სათამაშო პრაქტიკა და დაბრუნდა გორის დილაში მხოლოდ იმიტომ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ეთამაშა...

მაყურებელს უდიდესი როლი აქვს, ეს არ არის გადაჭარბებული სიტყვები. როდესაც მოედანზე გავდივართ, მხოლოდ ერთი რამ გვაერთიანებს, რომ გულშემატკივარი გავახაროთ და უნდა შევიგრძნოთ ის ატმოსფერო, რაც არა მარტო სტადიონზე, არამედ ქვეყანაშია...

თამაშის დაწყებამდე სატურნირო მდგომარეობას თუ შევხედავთ, უპირატესობა გვაქვს, მაგრამ როცა თამაში დაიწყება, შანსი თანაბარია. ფრეზე ფიქრი ძალიან დიდი შეცდომა იქნება. მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ ჩვენს კართან სახიფათო მომენტები, ხოლო როცა საშუალება მოგვეცემა, ვაკონტროლოთ ბურთი, გადავიდეთ შეტევაზე. თანამედროვე ფეხბურთში ძალიან რთულია წინასწარ პროგნოზის გაკეთება, მაგრამ ჩვენ არც ერთი მეტოქის შეგვშინებია და ნებისმიერ გუნდს ტოლ-სწორად ვეთამაშებით.

ერვინ ვან დე ლო:

– ვნახავთ ფეხბურთელების კონდიციებს და შემადგენლობაში ცვლილებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს ამის შემდეგ მივიღებთ. რთული გრაფიკის გამო ყოველთვის არიან ფეხბურთელები, რომლებსაც გარკვეული პრობლემები უჩნდებათ. უშუალოდ მატჩისთვის კი, ძირითადი შემადგენლობა ნამდვილად მზად იქნება. ძალიან ძლიერი მეტოქე გვეყოლება, ამიტომ სწორი ენერგიით უნდა მივუდგეთ თამაშს, რადგან საქართველოს ნაკრებს დიდი მხარდაჭერა ექნება.

სავსე სტადიონზე მწვრთნელისთვისაც რთულია ფეხბურთელებთან კომუნიკაცია და ჩემთვისაც ძალიან რთული იქნება, მაგრამ ამ ტურნირზე იმისათვის ვართ, რომ გვეთამაშა საუკეთესო გუნდების წინააღმდეგ საუკეთესო ატმოსფეროში და ეს იქნება ჩვენი პირველი თამაში ამ ევროპის ჩემპიონატზე, როდესაც ასეთ ატმოსფეროში ვითამაშებთ.

საქართველო-ნიდერლანდების მატჩი 27 ივნისს 20:00 საათზე დაიწყება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

„დროში მოგზაურმა“ ამო-ების შემოსევა და ათასობით ადამიანის გაუჩინარება იწინასწარმეტყველა



ტიკტოკის მომხმარებელმა, რომელიც საკუთარ თავს დროში მოგზაურს უწოდებს და ამტკიცებს, რომ 2758 წლიდანაა მოსული, იამაიკაზე ამოუცნობი მფრინავი ობიექტების (ამო) შემოსევა იწინასწარმეტყველა.

ტიკტოკერმა გამოაქვეყნა იმ მოვლენების სია, რომლებიც თითქოსდა 2023 და 2024 წლებში მოხდება. **კერ**ძოდ, მან იწინასწარმეტყველა, რომ 19 ოქტომბერს „საიდუმლოებით მოცული მანათობელი ღრუბელი“ დაფარავს ეიფელის კოშკის წვერს. თუმცა მისი მტკიცებით, ეს მხოლოდ წუთზე ნაკლებ დროს გაგრძელდება. 28 სექტემბერს, მისი მტკიცებით, ბერმუდის სამკუთხედი გახდება უამრავი გემის და თვითმფრინავის გაუჩინარების ადგილი და ეს მოვლენა ერთი კვირა გაგრძელდება და ამ სატრანსპორტო საშუალებებთან ერთად უამრავი ადამიანიც გაუჩინარდება.

დროში მოგზაურის მტკიცებით, მომავალი წლის 7 იანვარს იამაიკის მახლობლად შენიშნავენ ამო-ს და ის იქნება ერთ-ერთი იმ მრავალთა შორის, რომელთაც ამ რეგიონში შენიშნავენ. 21 მარტს კი ბრაზილიის სანაპიროსთან აღმოაჩენენ უცნაურ წყალქვეშა ნაგებობას.

– ამ ადგილას თავს მოიყრის უამრავი უცნაური თევზი, რომელთა მსგავსი აქამდე არ გვინახავს, – იწინასწარმეტყველა ტიკტოკერმა.

„დროში მოგზაურის“ მორიგ წინასწარმეტყველებს ტიკტოკის მომხმარებლები სკეპტიკურად შეხვდნენ. მათი უმრავლესობის აზრით, მისი წინასწარმეტყველებების ახდენის შანსი ნულის ტოლია.

ჭიანჭველებმა გერმანულ ქალაქს ინტერნეტი გაუთიშეს



ჭიანჭველებმა საკუთარი ბუდე მოაწყვეს დასავლეთ გერმანიის დასახლების კავშირგაბმულობის კოლოფში და შედეგად ტელეფონები და ინტერნეტი გაუთიშეს.

აღნიშნული ინციდენტი ბადენ-ვიურტენბერგის მხარის ქალაქ ვალდენბურგის მახლობლად მოხდა. მწერების შეჯვარების გამო რაიონში გაითიშა სატელეფონო კავშირი და ინტერნეტი, რომლის აღდგენას თითქმის ერთი კვირა დასჭირდა.

– ეს უბრალოდ კატასტროფა იყო! მთელი რაიონი დაზარალდა, – განაცხადა ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა.

მოწყობილობის გათიშვა ჭიანჭველა მჟავამ გამოიწვია, რომლებსაც ეს მწერები შეჯვარების შემდეგ გამოყოფენ. ამ ნივთიერებამ წვრილი სადენების იზოლაცია დაადნო, მიკროსქემები დააზიანა, რამაც საბოლოოდ კავშირგაბმულობის გაწყვეტა გამოიწვია.

ძროხებმა თანამოძმე ვეფხვის თავდასხმისგან დაიცვეს

ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატში ძროხებმა ორჯერ დააფრთხეს ვეფხვი, რომელიც მათ თანამოძმეს ღამით თავს დაესხა. ინციდენტი, რომელიც სათვალთვალო ვიდეოკამერამ დააფიქსირა, 18 ივნისს მოხდა. ვეფხვმა ფერმის ტერიტორიაზე შეაღწია, ერთ-ერთ ძროხას თავს დაესხა და დაჭრა, მაგრამ ამ დროს მისმა თანამოძმეებმა მოირბინეს, მტაცებელს შეუტიეს და გააქციეს. ფერმის მფლობელის თქმით, ამის შემდეგ ვეფხვმა უკან დაიხია და სამი საათი ელოდა იმის შანსს, რომ ძროხას ისევ თავს დასხმოდა, მისთვის ბოლო მოეღო და ნადავლი ტყეში წაეღო. თუმცა, როდესაც მტაცებელი ისევ შეეცადა მსხვერპლს თავს დასხმოდა, ძროხები დაჭრილ თანამოძმეს გარს შემოეხვივნენ და მას მასთან მიახლოების საშუალება არ მისცეს.

დაშავებული ცხოველის პატრონის თქმით, შინაურ ცხოველს რამდენიმე დაზიანება აქვს მიღებული და მას ამჟამად ვეტერინარები მკურნალობენ. მამაკაცის თქმით, ვეფხვმა უკვე მეხუთედ შეაღწია ფერმის ტერიტორიაზე. მოგვიანებით მიაგნეს ხვრელს ღობეში, საიდანაც მტაცებელი ფერმაში შედიოდა.

ზვიგენმა მეთევზეებს ნადავლი გაუფუჭა და პრიზის გარეშე დატოვა

აშშ-ში ზვიგენმა შეჯიბრის დროს მეთევზეების მიერ დაჭერილი ლურჯი მარლინი დაგლიჯა, რომელსაც მათთვის შესაძლოა პრიზის სახით 3,5 მილიონი დოლარი მოეტანა.

აღნიშნული ინციდენტი შაბათს, 17 ივნისს მოხდა, ჩრდილოეთ კაროლინას შტატში მიმდინარე მეთევზეთა შეჯიბრის დროს. ნავის ეკიპაჟმა, რომელსაც გრეგ მაკოი ხელმძღვანელობდა, შეძლო დაეჭირა 280 კილოგრამიანი მარლინი, რომელსაც ისინი შეჯიბრის გამარჯვებულად შეეძლო გაეხადა და სოლიდური ფულადი პრიზი მოეტანა. თუმცა მალე გაირკვა, რომ სანამ დაჭერილ თევზს მაკოი წყლიდან ამოიყვანდა, ის ზვიგენმა დაგლიჯა.

ეს კი, სპორტული თევზაობის საერთაშორისო ასოციაციის კანონების თანახმად, ნადავლის დისკვალიფიკაციის მიზეზი გახდა. რეგლამენტი არ უშვებს შეჯიბრში მონაწილეობაზე ისეთ თევზს, რომელსაც დაზიანებები აქვს მიყენებული.

მაკოის თქმით. ის გაოგნებული დარჩა, როდესაც თევზის დაზიანების წესის გამო დისკვალიფიკაციის შესახებ შეიტყო.

– ბოლო დღეს, უკანასკნელ საათს. ჩვენ მას ექვსი საათი ვებრძოდით. და დისკვალიფიკაცია, ამის მოსმენა ძალიან ძნელია, – განაცხადა იმედგაცრუებულმა მაკოიმ.

საბოლოოდ შეჯიბრის გამარჯვებული სუშის გუნდი გახდა, რომლის მიერ დაჭერილი მარლინის წონამ 219,7 კილოგრამი შეადგინა. სულ კი შეჯიბრში, რომელიც 1957 წლიდან იმართება, 271 გუნდი იღებდა მონაწილეობას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: აღმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

სალუქვაძე მეათე ოლიმპიადაზე, ოქროები ევროპული თამაშებიდან

სამივე სინჯის ოლიმპიური მედლის მფლობელი, ლეგენდარული ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე ოლიმპიურ თამაშებზე მეათედ იასპარეზებს.

26 ივნისს, მესამე ევროპულ თამაშებზე ტყვიის მსროლელმა ქალებმა სპორტული პისტოლეტიდან სროლაში (25მ) მედლებისთვის ბრძოლა განაახლეს. ნინო სალუქვაძემ ამ დისციპლინაში მეოთხე ადგილი დაიკავა და ოლიმპიური თამაშების ლიცენზია კარიერაში მეათედ მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ათ ოლიმპიადაზე ქალ სპორტსმენს ჯერ არ უასპარეზია.

მესამე ევროპულ თამაშებზე გუშინ დაწყებული საკვალიფიკაციო ეტაპი სპორტული პისტოლეტით მსროლელმა ქალებმა დღეს დაასრულეს. სალუქვაძე საუკეთესო რვა მსროლელს შორის მე-8 შედეგით მოხვდა – 579 ქულა.

ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი ქართველი სპორტსმენი მეორე ნახევარფინალურ ოთხეულში მოხვდა და ფინალში მეოთხე შედეგით შევიდა, სადაც ასეთივე შედეგი დაასრულა ასპარეზობა, რამაც ოლიმპიადის საგზური მოუტანა.

სალუქვაძეს ოლიმპიადაზე დებიუტი ჯერ კიდევ 1988 წელს სეულში ჰქონდა. სწორედ იქ აიღო პირველი მედლები – 25-მეტრიან დისტანციაზე ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო 10 მეტრზე სროლაში ვერცხლი ერგო. 2008 წელს კი, ჩინეთის დედაქალაქ პეკინში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს 10 მეტრზე დისტანციაზე ბრინჯაოს მედალი მოუტანა.

მესამე ევროპულ თამაშებზე საქართველოს დელეგაციას ორი ოქროს მედალი აქვს. აღსანიშნავია, რომ ტაეკვონდოში ქართული სპორტის ისტორიაში უმაღლესი რანგის ტურნირის პირველი ჩემპიონი გვყავს – დაბა კრინიცა-ზდროის არენაზე ზურაბ კინწურაშვილმა (74კგ), დიდებულად იასპარეზა და ჩვენი ქვეყნის ჰიმნი ააჟღერა.

ჩემპიონის ტიტულისკენ სვლა კინწურაშვილმა მერვედფინალში დაიწყო, სადაც ირლანდიელი ლეროი ნსილუ დილანდუ 13:9, 12:3 დაამარცხა;

მეოთხედფინალში ქართველმა მებრძოლმა პირველი სენსაცია შემოგვთავაზა: ოქროს მედლის ერთ-ერთ მთავარ კანდიდატს, მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონს, ესპანელ დანიელ კუესადა ბარერას 5:4, 4:4 სძლია;

ნახევარფინალში მეორე სენსაციით გაგვახარა, როცა ურთულეს და ძალიან დაძაბულ პაექრობაში ევროპის მოქმედი ჩემპიონი, წლევანდელი მსოფლიო პირველობის ფინალისტი, სერბი სტეფან ტაკოვი ჩამოიშორა გზიდან – 2:2, 11:10;

ფინალში ზურაბის მეტოქე ბოსნია-ჰერცეგოვინის გუნდის წევრი ნედად ჰუსიჩი გახლდათ, რომელსაც ქართველმა მებრძოლმა პირველი ნახევარი 10:7, ხოლო მეორე 6:4 მოუგო.

მესამე ევროპულ თამაშებზე მედლების პირველი კომპლექტები გაითამაშეს მოფარიკაველებმა და ტაურონ არენაზე გაშლილ ბილიკებზე სანდრო ბაზაძემ ივაჟკაცა.

კონტინენტურ ტურნირებზე ეს სანდროს ზედიზედ მესამე ტრიუმფია: 2022 და 2023 წლებში მან მიჯრით მოიგო ევროპირველობები.

ხმლით მოფარიკავე ვაჟთა შორის ჯგუფურ ეტაპზე სამოცი სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის საქართველოს ნაკრების ოთხი წევრი.

სანდრომ მედლისკენ სვლა პირველი ჯგუფიდან დაიწყო, სადაც ექვსივე მეტოქე დაამარცხა: უნგრელი ტამაშ დეში, თურქი თოლგა ასლანი, პოლონელი ოლაფ სტასიაკი, ისლანდიელი გუნარ ეგილ აგუსტსონი, ჩეხი კრიშტოფ ცაცეკი და დიდი ბრიტანელი უილიამ დერი.

ფლეი ოფში სანდრო პირველ ნომრად იყო განთესილი და პირველ წრეში დაისვენა, მეთექვსმეტედფინალში კი იოლად დაამარცხა ბერძენი ანგელოს პაკგალოსი – 15:4; მერვედფინალში საქართველოს ნაკრების ლიდერი უნგრელ ანდრაშ შატმარის დაუპირისპირდა და კვლავ დამაჯერებლად მოიგო – 15:9; მეოთხედფინალში კი უკრაინელ ანდრეი იაგოდკას სძლია – 15:11; ნახევარფინალში სუპერდაპირისპირება ვიხილეთ, რადგან სანდროს მეტოქე ლონდონის, რიო დე ჟანეიროს და ტოკიოს ოლიმპიადების გამარჯვებული, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი არონ სილაგი გახლდათ. ქართველმა მოფარიკავემ ურთულესი დაპირისპირება 15:13 მოიგო და ფინალში გავიდა, სადაც მასპინძელთა ფავორიტს, პოლონელ კრშიშტოფ კაცკოვსკის დაუპირისპირდა. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქემ ბევრი ეცადა, გამარჯვება მაინც ბაზაძეს დარჩა – 15:13.

მე-2 ჯგუფში იასპარეზა სანდროს ძმამ, ბექა ბაზაძემ, რომელმაც ექვსიდან ორი მეტოქე დაამარცხა და ფლეი ოფში 37-ე ნომრად გავიდა, სადაც ბულგარელ ტოდორ სტოიჩევს დაძაბულ ბრძოლაში კი აჯობა – 15:10, მაგრამ მეთექვსმეტედფინალში გერმანელ ლორენც კემპთან 11:15 დამარცხდა და გათამაშებას გამოეთიშა.

მე-3 ჯგუფში იასპარეზა ვახტანგ არჩვაძემ. ახალგაზრდა მოფარიკავემ ჯგუფში ოთხ მონაწილეს აჯობა და ფლეი ოფში მე-20 ნომრად მოხვდა, რის გამოც პირველ წრეში დაისვენა. თუმცა, მეთექვსმეტედფინალს ვერც ის გაცდა – ძალიან დაძაბულ ორთაბრძოლაში რუმინელ იულიან ტეოდოსიუსთან 13:15 წააგო.

ჩვენი ოთხეულიდან ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლია გოგა კაკაურიძემ.

საქართველოს 7-კაცა ნაკრები ევროპის მესამე თამაშების ფლეი ოფში გავიდა. ჰენრიკ რეიმანის სახელობის სტადიონზე ბ ჯგუფის პირველ შეხვედრაში ქართველებმა ჩეხებს აჯობეს – 17:14. შესვენებამდე სოსო მათიაშვილმა და გიორგი ჯობავამ დაალეწეს მეტოქე, შესვენების შემდეგ – გიორგი ჭუაძემ. სერგი ჩხაიძემ სამი გარდასახვიდან მხოლოდ ბოლო გამოიყენა.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში საქართველოს ნაკრების მეტოქე ბელგია გახლდათ, რომელიც მანამდე ესპანეთთან დამარცხდა. 14:7 – ამ ანგარიშით გაიმარჯვა ჩვენმა გუნდმა. პირველი ლეწა გიორგი ფრუიძემ დადო, მეორე კი, ბოლო წუთზე გიორგი ჯობავამ. დანარჩენი ოთხი ქულა ჩვენს ნაკრებს ჭუაძემ და ლაშა ლომიძემ გარდასახვებით მოუტანეს.

ჯგუფის მესამე მატჩში ბესიკ ხარაშურიძის – გასვლითი ბურთის გუნდმა ესპანეთთან 7:35 წააგო და ფლეი ოფში მეორე ადგილით გავიდა. საქართველოს ნაკრების მეტოქე მოგვიანებით გაირკვევა.

შეგახსენებთ, რომ ტურნირში პირველ ადგილზე გასული გუნდი ოლიმპიადის საგზურს მიიღებს, ხოლო მეორე და მესამე ადგილსნები, კიდევ ერთ საკონტინენტთაშორისო შესარჩევ მატჩებს ითამაშებენ.

დაიწყეს მედლების გათამაშება ტაილანდურ კრივშიც. შეჯიბრებას მისლენიცე მასპინძლობს, სადაც საქართველოს ნაკრების სამმა წევრმა იასპარეზა: გიორგი კლეინმა (67კგ), შალვა მარგიშვილმა (91კგ) და ელენე ლოლაძემ (54კგ).

კლეინი აზერბაიჯანელ ხაიალ ალიევთან დამარცხდა, მარგიშვილი ბერძენ კირიაკოს ბაკირცისთან, აი, ელენე ლოლაძემ კი, პორტუგალიელ ფილიპა ლოპეს როსა დე ოლივეს 30:27 სძლია და ნახევარფინალში გავიდა, სადაც მეტოქედ პოლონელი მარტინა კიერჩინსკა ეყოლება.

ნოვი ტარგში მოკრივეთა ტურნირი გაგრძელდა, სადაც ამჯერად ჩვენი გუნდის ორი წევრი ვიხილეთ. ესკერხან მადიევის (71კგ) უპირატესობა ლატვიელ მარტინს ბლუმენტალსთან იმდენად დიდი იყო, რომ რეფერიმ ბრძოლა მეორე რაუნდში შეწყვიტა. მადიევის მომდევნო მეტოქე აზერბაიჯანელი სარხან ალიევია.

ლაშა გურულის (63,5კგ) მეტოქე კი სლოვაკი ვილიამ ტანკო გახლდათ. გურულმა კვლავ დამაჯერებლად მოიგო – 5:0 და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ბულგარელ რადოსლავ სიმეონ როსენოვს ეჩხუბება.

დაიწყეს ასპარეზობა თანამედროვე ხუთჭიდელებმაც. პირველად ქალებმა იასპარეზეს, მათ შორის ჩვენი გუნდის წევრმა ქრისტინა ჭიტაძემ, მაგრამ სამი დისციპლინის შედეგებით (ფარიკაობა, ცურვა, სირბილი) მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

ვროცლავის სროლის ცენტრში ქალთა შორის სპორტული პისტოლეტით სროლაში საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი ნაწილი გაიმართა, სადაც ნინო სალუქვაძემ 288 ქულით მე-13 ადგილი დაიკავა.

ვროცლავშივე ვიხილეთ მესტენდური იაროსლავ სტარცევი. სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლებმა მრგვალ სტენდზე სროლაში გუშინ დაწყებული შესარჩევი სერია დაამთავრეს. სტარცევმა 119 ქულით (23, 23, 25, 23, 25) 30 მონაწილეს შორის 24-ე ადგილი დაიკავა და ასპარეზობა დაამთავრა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

20 წლამდე ნაკრებმა ბულგარული შეკრებაც დაასრულა

საქართველოს 20 წლამდე კალათბურთელთა ნაკრებმა ბულგარული შეკრება დაასრულა, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო, ამხანაგურ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა გუნდმა ქალაქ ბოტევგრადში 2 მატჩი გამართა, რომელთაგან ერთში იმარჯვა, ხოლო მეორეში დამატებით დროში დამარცხდა.



თავდაპირველად, ქართველებმა ავსტრიას იოლად – 86:66 მოუგეს და ტურნირის პირველი ადგილისთვის მასპინძელ ბულგარეთს შეხვდნენ. მატჩის ძირითადმა 40-წუთიანმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა.

ძირითადი დრო 66:66 დასრულდა და დაინიშნა დამატებითი 5-წუთიანი, რომელშიც მასპინძლებმა 3 ქულით – 78:75 გაიმარჯვეს. ჩვენს ნაკრებში გამორჩეულები იყვნენ გუგა ნაცვლიშვილი და სერგი ნინუა. ნაცვლიშვილმა 20 ქულა და 6 მოხსნა მოაგროვა, ხოლო ნინუას ანგარიშზე 19 ქულა, 5 მოხსნა და 4 პასი დაგროვდა. 12 ქულა მიითვალა გიორგი სულაბერიძემ.

საქართველოს ნაკრებმა ბულგარული შეკრება დაასრულა და უნგრეთში გადაინაცვლა, სადაც იქაურ 20-წლამდელთა ნაკრებთან 2 ამხანაგურ მატჩს გამართავს. ამ შეხვედრებით კოტე ტუღუშის გუნდი სპარინგ-მატჩებს დაასრულებს და თბილისში დაბრუნდება, საიდანაც 5 ივლისს ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში საასპარეზოდ ჩრდილოეთ მაკედონიაში გაემგზავრება.

დივიზიონში 20 ქვეყნის ნაკრებია თავმოყრილი, რომლებიც 4 ჯგუფში არიან განაწილებულნი. თითოეული გუნდის მიზანი საპრიზო ადგილების დაკავებაა, რადგან ელიტარული, ა დივიზიონის საგზურს 3 საუკეთესო ნაკრები მოიპოვებს. საქართველოს ნაკრები ც ჯგუფში მოხვდა, სადაც მისი მეტოქეები კოსოვო, შვედეთი, უკრაინა და აზერბაიჯანი იქნებიან.

გუნდოგანი ბარსელონაში ითამაშებს

წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული მანჩესტერ სიტის ნახევარმცველი ილქაი გუნდოგანი გუშინდელი დღიდან ბარსელონას ფეხბურთელია.

26 ივნისს კატალონიურმა გუნდმა დაადასტურა, რომ გერმანელი ნახევარმცველი უფასოდ დაიმატა. გუნდოგანის კონტრაქტი ორწლიანია კიდევ ერთი წლით გაგრძელების პერსპექტივით. მისი გამოსასყიდი თანხა კი, 400 მილიონი ევრო იქნება.

32 წლის ახალწვეულმა კატალონიური კლუბის ფეხბურთელის რანგში პირველი კომენტარი გააკეთა:

– მანჩესტერ სიტის მხოლოდ ერთი კლუბის გამო დავტოვებდი – ეს კლუბი ბარსელონაა. ამ მაისურის ტარებაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი.

მჯერა, რომ უმაღლეს დონეზე კიდევ რამდენიმე წელი ვითამაშებ. უბრალოდ, მინდა, ბარსელონას დავეხმარო, რომ დაბრუნდეს იქ, სადაც იმსახურებს.

კვლავ ჩემს ძველ მეგობარ ლევანდოვსკისთან ერთად ვითამაშებ. ასევე, მიხარია, რომ ახალი მწვრთნელი მეყოლება, რომელიც ყოველთვის ჩემი კუმირი იყო.

ჩავის გუნდის პროექტზე ძალიან ბუნებრივად ვესაუბრე. ჩვენს შორის მენტალიტეტში ბევრი საერთო შევნიშნე.

ბარსაში დიდი ზეწოლა იქნება, რაც მომწონს – კომფორტის ზონიდან გამოსვლა მიყვარს. ახალ გამოწვევას ვეძებდი. ლურჯ-ბროწეულისფერი მაისურით თამაშს მოუთმენლად ველი.

გუნდოგანის შემდეგ ბარსელონა მარსელო ბროზოვიჩის დამატებას ფიქრობს. ინტერის საყრდენი ნახევარმცველი სერხიო ბუსკეტსის შეცვლის მთავარ კანდიდატად იქცა, მაგრამ ხორვატ შუახაზელს საუდის არაბეთიდან მსუყე შეთავაზება აქვს. ბროზოვიჩს სპორტული კუთხით, რა თქმა უნდა, ბარსელონა ურჩევნია, მაგრამ მას არ აქვს გარანტია, რომ კატალონიური კლუბი მის ლა ლიგაში დარეგისტრირებას მოახერხებს.

გავრცელებული ცნობებით, ბროზოვიჩის ტრანსფერში გადამწყვეტი სწორედ გუშინდელი დღე იქნება. ცნობილი ესპანელი ჟურნალისტის, ხავი მიგელის ცნობით გუნდოგანის გაოფიციალურება სწორედ ბროზოვიჩისკენ იყო მიმართული. კატალონიელებმა 30 წლის ფეხბურთელს მესიჯი გაუგზავნეს, რომ ისინი ახალი სეზონისთვის სერიოზულად ემზადებიან და მათ ფეხბურთელების დარეგისტრირება შეუძლიათ.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. „ფორმულა-1“-ში მონაწილე მექსიკელი ავტომრბოლელი; 2. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 3. უღრანი, გაუვალი ტყე; 4. ჩრდილოეთ მაკედონიის დედაქალაქი; 6. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 9. ანტონიო გაუდის მიერ დაპროექტებული პოპულარული პარკი ბარსელონაში; 11. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 15. ფელინის ფილმი; 16. მწვანით მოსილი, წყლიანი ადგილი უდაბნოში; 17. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 19. ჩრდილო ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 21. ქალის სასიმღერო ხმა; 22. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში.

თარაზულად: 5. მადერას ტიპის ღვინოების დასამზადებლად გამოყენებული პორტუგალიური ვაზის ჯიში; 7. საქართველოში გავრცელებული ძვირფასი, წითელმერქნიანი, წიწვოვანი ხე; 8. კომპანია „ყაზბეგის“ დამფუძნებელი; 10. ხელით სასროლი ჭურვი; 12. ფულის ერთეული ჩინეთში; 13. ესპანელი კინოვარსკვლავი ქალი; 14. ნახევარკუნძული ევროპაში; 18. ყველაზე მაღალი მწვერვალი პირინეის ნახევარკუნძულზე; 20. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 23. მდინარე სვანეთში; 24. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 25. ბუღალტრული ბალანსის ნაწილი ვალებისა და ვალდებულებების შესახებ; 26. თხუნელას მეორე სახელწოდება; 27. სახელმწიფო ევროპაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ქლუხორი; 2. ხრიდოლი; 3. ბაპრეინი; 4. გულანი; 5. ჰორმონი; 8. ჰიგიენა; 9. მეზონინი; 12. პროტესტი; 13. ანაკლია; 16. ჟოეკვარა; 17. ბორჯომი; 19. კომბლე; 20. საუზმე.

თარაზულად: 6. ალოტროპია; 7. პუნსონი; 8. ჰარირა; 10. ჰოსტელი; 11. ყორე; 14. ბენეტონი; 15. ფოლკლორი; 18. ჯოკერი; 21. ოტიატრი; 25. ყანწი; 23. ეოლითი; 24. ვანდალები.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. უტზონი; 2. ციცქა; 3. პრიზმა; 4. ბელუჩი; 6. მორავია; 9. ქარვა; 11. კეიტონი; 15. კონტრაქტი; 16. ლაზერი; 17. ავედხარა; 19. აქსიომა; 21. სტაიერი; 22. სირაჯი.

თარაზულად: 5. სტატისტი; 7. ორატორი; 8. ალონსო; 10. ფარვანა; 12. ჩელსი; 13. ელესა; 14. რევოკაცია; 18. პეტრა; 20. საბვეი; 23. პიარნუ; 24. აისი; 25. მარუხი; 26. ჯოტო; 27. არითმია.

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

27 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6284

ევრო — 2.8663

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3439

100 რუსული რუბლი — 3.1057

ამინდის პროგნოზი 27 ივნისისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილქაი გუნდოგანი ოფიციალურად ბარსელონას ფეხბურთელია

ბარსელონამ ახალი ფეხბურთელი დაიმატა და ეს ფეხბურთელი ილქაი გუნდოგანია, რომელიც ბარსელონას თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა. გუნდოგანი მანჩესტერ სიტის ღირსებას იცავდა და ის გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც ითვლებოდა, თუმცა, მან ბარსელონაში გადასვლა გადაწყვიტა. გუნდოგანმა 3-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა და ის წელიწადში 6 მილიონ ევროს მიიღებს.

ვრცლად მე-7 გვერდზე

ჰარი კეინს ტოტენჰემიდან წასვლა სურს

ტოტენჰემის ფორვარდს ჰარი კეინს გუნდიდან წასვლა სურს და მან ამის შესახებ უკვე უთხრა გუნდის ხელმძღვანელობას. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კეინი შესაძლოა მადრიდის რეალის ფეხბურთელი გახდეს. რეალს სურს კეინის შეძენა, მაგრამ მათ არ უნდათ დიდი თანხის გადახდა, ხოლო ტოტენჰემი კი თავის ლიდერს იაფად არ დათმობს. უფრო მეტი დეტალი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

ოსიმენი ნაპოლისთან კონტრაქტს ვერ ათანხმებს

ვიქტორ ოსიმენის მომავალი ისევ გაურკვეველია, რადგან ის ვერ ათანხმებს კონტრაქტს ნაპოლისთან. ნაპოლი უარს ამბობს, რომ მას წლიურად 6 მილიონი გადაუხადოს და ამის გამო ოსიმენმა შესაძლოა გუნდი დატოვოს და ინგლისს მიაშუროს, სადაც გაცილებით მაღალი ანაზღაურება ექნება. ოსიმენის შეძენა მანჩესტერ იუნაიტედსა და ჩელსის სურთ. ვიქტორი, სავარაუდოდ, მანჩესტერს აირჩევს, რადგან მას ჩემპიონთა ლიგაში თამაში უნდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

გელოდი ფოცხიშვილი გარდაიცვალა

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და ქორეოგრაფი გელოდი ფოცხიშვილი 78 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი 60 წელი ემსახურა ქართულ ხელოვნებას – მთელი ცხოვრება ქართულ ცეკვას მიუძღვნა. მისი შვილები დავით და გელა ფოცხიშვილები, ასევე რძლები და შვილიშვილები ქართულ ცეკვას ემსახურებიან.

ხელოვანი სხვადასხვა პერიოდში იყო საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „სუხიშვილების", საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მოცეკვავე, ფილარმონიის მთავარი ქორეოგრაფი, მოგვიანებით კი მთავარი ბალეტმეისტერი. მან დააფუძნა მოცეკვავეთა კვარტეტი „დოლური", საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებული მოცეკვავეთა ანსამბლი „მეტეხი" და ამავე სახელწოდების საბავშვო სტუდია. თბილისის სპორტის სასახლეში დააფუძნა „შოუებისა" და სპორტულ სანახაობათა ასოციაცია.

ქორეოგრაფის სცენაზე მოღვაწეობის 60 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით აპრილში თბილისის საკონცერტო დარბაზში სპეციალური საღამო ჩატარდა.

გელა ფოცხიშვილი:

– დასრულდა ერთი დიდი ეპოქა ქართულ ქორეოგრაფიაში! შეიძლება ვინმე ასე არ ფიქრობს, მაგრამ მე და ჩემი ოჯახი ასე ვფიქრობთ და გვწამს!

გელოდი ფოცხიშვილმა უანგაროდ შესწირა თავი თავის ერსა და ქართულ ქორეოგრაფიას, მის განვითარებასა და პოპულარიზაციას მთელ მსოფლიოში! მან ყოველგვარი დახმარების გარეშე შეძლო ეს ყველაფერი! ნათელში იყოს შენი სული მაესტრო! გპირდები, მაესტრო, შენი გვარი მთელი მსოფლიოს აფიშებიდან არ ჩამოვა!

დავით ფოცხიშვილი:

– ძალიან ბევრი ვეცადეთ, თავადაც ძალიან მაგრად იბრძოდა, მაგრამ ვერ მოვერიეთ ამ განუკურნებელ და უხსენებელ დაავადებას. დამაკლდები ყველანაირად. ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარხარ და უკვე მენატრები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ სახლში ისეთი მთვრალი მივედი, რომ ბავშვებმა ვერ მიცნეს.

– და რომ გამოფხიზლდი?

– რომ გამოვფხიზლდი, მივხვდი, რომ სხვაგან ვიყავი.

•••

განცხადება: დაიკარგა ჩანთა ფულით. ფული მაინც დამიბრუნეთ.

•••

დედა შვილს ეკითხება:

– შვილო, როგორ მიდის, შენი და გიგის ურთიერთობა?

– წვრილმანებზე ვკამათობთ, გამუდმებით.

– რა წვრილმანებზე?

– მინდა ქორწილში თეთრი კაბა მეცვას, მას კი საერთოდ არ უნდა დაქორწინება...

•••

ექიმთან კაცი მივიდა, თავში ლურსმანი აქვს ჩარჭობილი. ექიმი ეკითხება

– ამოგაძრო?

– რა თქმა უნდა.

– 200 ლარი დაგიჯდება.

– კი მაგრამ, მე ხომ პოლისი მაქვს?

– მაგ პოლისით მხოლოდ ლურსმნისთვის თავის გადაღუნვა შემიძლია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მარგარეტ დაიაური და გიორგი ჭინჭარაული დაშორდნენ

შატილში მცხოვრები წყვილი – მხატვარი მარგარეტ დაიაური და მისი მეუღლი გიორგი ჭინჭარაული დაშორდნენ.

ინფორმაცია ამის შესახებ მარგარეტმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა, როდესაც სტატუსი „დაქორწინებული" „განქორწინებულით" შეცვალა.

მიუხედავად იმისა, რომ მარგარეტისა და გიორგის ათასობით გულშემატკივარში ამ სიახლემ უდიდესი ინტერესი გამოიწვია, მომხდართან დაკავშირებ'ით კომენტარი არც ერთს გაუკეთებია.

გიორგი გვარჯალაძეს მანქანა დაუზიანეს

„ლენო რექორდსის" ხელმძღვანელს გიორგი გვარჯალაძეს ფესტივალზე „თბილისი ოფენ ეარ" მანქანა დაუზიანეს:

– ფესტივალის შესასვლელთან მყავდა. რომ გამოვედი ჩატეხილი დამხვდა, მარიკოს წელის ჩანთა მოიპარეს, – აცხადებს გვარჯალაძე.

მანქანის შუშის გატეხვაზე, ამ შუშის ნამსხვრევების ჭამა უნდა იყოს სასჯელი! ვისაც არ გამოუცდია – მერე რანაირადაც უნდა გაწმინდო, არასდროს ილევა ამ შუშის ნამსხვრევები და მტვერი, სანამ ეს მანქანა არსებობს.

ბიბი კვაჭაძე: „საწყალი მუსიკოსები თავისა და ოჯახების გადასარჩენად ტრიალებენ ერთი და იმავე კარუსელში"

ასე აფასებს მუსიკოსი ბიბი კვაჭაძე საქართველოში მცხოვრები ხელოვანების მდგომარეობას:

– 3 წელია, რაც „დავბრუნდი" ჩემს ქვეყანაში და გარკვეული იმედით ჩამოვედი, რადგან ზოგადად ოპტიმისტი ვარ... მაგრამ, ჩამოვედი თუ არა, 3 კვირაში პანდემია დაიწყო და გარდა ბევრი ახლობლის დაკარგვის ტკივილისა, თითქმის 2 წელი უმეტესწილად სახლში ვისხედით... ურთულესი პერიოდი გავიარეთ... არაფერი ხდებოდა.

ქვეყნის პულსაციას მაშინაც ვაკვირდებოდი და ახლაც, ჩვენს სფეროში ინტერესი ნოლი იყო და ახლაც ნოლია!

ერთნაირი ტელეგადაცემები, დილის, შუადღის ერთნაირი სტუმრებით, ერთნაირი მდარე მუსიკით, ერთი და იგივე სახეებით, ერთი და იგივე რეპერტუარით... ძირითადად ძველი რეპერტუარის გადამღერებით ვართ დაკავებული.

გაქანება ნოლი, მოთხოვნა ნოლი, მოტივაციაც ნოლი!

ეს საწყალი მუსიკოსები თავისა და ოჯახების გადასარჩენად ტრიალებენ ერთი და იმავე კარუსელში... „მაგარი" სურათია... როდემდე?

3 რადიო ნუცა ბუზალაძის სიმღერებს ეთერში არ გაუშვებს

მას შემდეგ, რაც ნუცა ბუზალაძემ მოსკოვში იმღერა, რადიოებმა „თბილისი" „ციტრუსი" და „ჰერეთი" მისი სიმღერები ეთერიდან მოხსნა.

– ჩვენი პოზიცია ყველასთვის ცნობილია რუსეთთან, რუსულ სიმღერებთან და ამ ქვეყანასთან აფილირებული მომღერლების შესახებ. რადიო „თბილისი" იყო პირველი რადიოსადგური, რომელიც „ამერიკან აიდოლის" შოუს აქტიურად აშუქებდა. სწორედ, რადიო „თბილისის" ფეისბუქ გვერდზე ნახა ასიათასობით ადამიანმა ნუცას წარმატებების შესახებ, – ნათქვამია განცხადებაში.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა რადიო „თბილისმა" მომღერალი ეთერიდან ჩახსნა. 6 მაისს, რადიომ თავისი ეთერიდან რეპერ მასტერის სიმღერები ჩახსნა. ამის მიზეზი მომღერლის მიერ ლევან ბერძენიშვილისთვის მიძღვნილ სიმღერაში ანტიევროპული გზავნილების გაჟღერება გახდა.

გიორგი კეკელიძე: „არ არსებობს არავითარი 2 რუსეთი"

მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე დარწმუნებულია, რომ არავითარი 2 რუსეთი არ არსებობს:

– პუტინის ეპოქაში, საჯარო სივრცეში, არ არსებობს არავითარი 2 რუსეთი. თუ კი – უკვე დიდი ხანია გაქცეულია ან ყველაზე დამთმენები ახლა გაიქცნენ.

„გურული დღიურების" პოპულარობისას, ჩვენ დაგვიკავშირდა რამდენიმე რუსი გამომცემელი, მათ შორის ე.წ. თავისუფალი „სამიზდატი", რომელთან თანამშრომლობის გამოცდილება გამომცემელს უკვე ჰქონდა. მაშინ შევთავაზე, რომ ეთარგმნათ ამ პირობებით: გარეკანზე ეწერებოდა „რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს 20 პროცენტი" და რომ გაყიდვიდან შემოსული თანხა გადაირიცხებოდა 2008 წლის ომისას დაღუპული ქართველი მეომრის ოჯახში. ყველამ უარი თქვა – მათ შორის ვითომდა ძალიან განყენებულებმა და დამოუკიდებლებმა.

შესაბამისად, პუტინის რუსეთში ორთქლს იქამდე უშვებენ ხოლმე, კრემლი რომ არ დაწვას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. ქართველი სპორტული ტელეჟურნალისტი მამაკაცი; 2. მგალობელი ჩიტი; 3. მოვარდნილი წყალი; 4. ქართველთა სათვისტომოს მამული პარიზის მახლობლად: 5. ღვინის ხის კასრების მკეთებელი ოსტატი; 8. უმცროს მეთაურთა სამხედრო წოდება საზღვაო ფლოტში; 9. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 12. შვეიცარიის ისტორიული სახელწოდება; 13. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. ვირტუოზი ესპანელი მევიოლინე მამაკაცი; 17. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 19. ჰერმეტული მინის ჭურჭელი წამლისთვის; 20. მექანიკური მუსიკალური საკრავი.

თარაზულად: 6. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისთვის; 7. ფიროსმანის ფერწერული ტილო; 8. აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 10. გულის ნაწილი; 11. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 14. ღვინის მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 15. ცნობილი ქართველი ჰომეოპათი ექიმი, პროფესორი; 18. რაგბისტთა გუნდი საქართველოში; 21. ბაზარში დაწესებული ფასი; 22. ცნობილი გერმანელი ფეხბურთის მსაჯი; 23. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 24. ქართველი ფეხბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა